[illegible]
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: რედ: რედაქტორის—14—76, პასუხ. მდივნის—22—17, სამდივნოს—10—56, მთ. კონტორის—8—81.

შაბათი
12
აგვისტო
1933 წ.
№ 185 (3741)

გადაჭრით და სწრაფად წავიწიოთ წინ ნავთის დარგში

ამხ. ლ. ბერიას გამოსვლა აზ.კ.პ. (ბ) ბაქოს კომიტეტის პლენუმზე

რომელიც შესდგა ბაქოს ორგანიზაციის აქტივთან ერთად 1933 წლის 9 აგვისტოს

ამხანაგებო! ამ შვიდი თვის წინად, მიმდინარე წლის 26 იანვარს, ბაქოს ორგანიზაციის აქტივმა განიხილა აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის მდგომარეობა. 1932 წელი აზნავთმა დაამთავრა დიდი გარღვევით: მან დააკლო ჩვენს ქვეყანას დაახლოებით 2.300.000 ტონა ნავთი. მიმდინარე წლის პირველ თვეებში (იანვარი-თებერვალი) აზნავთი აგრეთვე საგრძნობლად გვაკლებდა ნავთს. ბაქოს აქტივმა მაშინ ასე შეაფასა ეს მუშაობა: „ნავთის გეგმის შეუსრულებლობა აიხსნება აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ბაქოს კომიტეტის, აგრეთვე აზნავთის მთელი პარტორგანიზაციის და სამეურნეო ხელმძღვანელობის არადამაკმაყოფილებელი მუშაობით და ხელმძღვანელობით ნავთისათვის ბრძოლის საქმეში".

ბაქოს კომიტეტის ახლანდელ აგვისტოს პლენუმზე, რომელიც მიმდინარეობს ბაქოს ორგანიზაციის აქტივთან ერთად, ჩვენ უკვე მოვედით რამდენადმე სხვანაირი მაჩვენებლებით. აზნავთი აშკარად გამოდის გარღვევიდან.

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ამოღებულია 6.699.510 ტონა ნავთი, რაც შეადგენს გეგმის 101,6 პროცენტს. ტონა ნავთის თვითღირებულება უფრო დაბალია, ვიდრე ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თვითღირებულება. უფრო ცუდ მდგომარეობაშია ბურღვის საქმე: გაბურღულია სულ 241.518 მეტრი, ე. ი. გეგმის 68,4 პროცენტი თითოეული გაბურღული მეტრის გადიდებული თვითღირებულების დროს.

ჩვენ აღვნიშნავთ განსაზღვრულ მიღწევებს აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის მუშაობაში იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელიც გვქონდა იანვარში იმ დროისათვის, როცა შეიკრიბა აქტივი.

აღნიშნული მიღწევები წარმოადგენენ იმის შედეგს, რომ ბაქოს მთელი ორგანიზაცია აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ბაქოს კომიტეტის და ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით მთელი ძალღონით ბოლშევიკურად იბრძოდა ნავთისათვის,—უპარტიო აქტივისტ მუშათა ფართო მასების, მოსამსახურეების და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალის დაკვრითი მუშაობის შედეგს. ყოველივე ამის შესახებ ამომწურავად გვითხრა ჩვენ თავის მოხსენებაში ამხ. რუბენმა.

აქტივის კრებაზე, რომელიც შესდგა იანვარში, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სამხარეო პარტიული ორგანიზაციები არ უწევდენ აზნავთს საკმაო დახმარებას. ახლა მდგომარეობა შეიცვალა. გასული ნახევარი წლის განმავლობაში საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი სისტემატიურ ხელმძღვანელობას უწევდა აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობას და აქტიურად ეხმარებოდა მას.

აზნავთის საკითხები დეტალურად და საფუძვლიანად განიხილა ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის აპრილის პლენუმმა, რომელმაც მოგვცა მთელი რიგი კონკრეტული პრაქტიკული მითითებანი აზერბეიჯანის ნავთის ფრონტზე მუშაობის შემდგომი გაშლისა და გაუმჯობესებისათვის.

ერთი თვის წინად, ივლისში, სამხარეო კომიტეტის ბიურომ, აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების წესით, კვლავ შეუდგა ნავთის საკითხების განხილვას.

ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა დააყენა მოსკოვის წინაშე მთელი რიგი საკითხები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ აზნავთისათვის და რომლებიც დადებითად იქნა გადაჭრილი. მიღებულ იქნა აგრეთვე ზომები იმისათვის, რომ განვამტკიცოთ ბაქოს ხელმძღვანელი კადრი ახალი მუშაკებით მოსკოვიდან და ტფილისიდან.

ამჟამად, აი უკვე რამდენიმე დღეა, რაც ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის სამდივნოს მთელი შემადგენლობა იმყოფება ბაქოში და თქვენთან ერთად აწყობს შემდგომ ბრძოლას ნავთისათვის.

ამგვარად, ჩვენ ყოველივე ღონეს ვხმარობთ იმისათვის, რომ [illegible] ნავთის გეგმა, რომ მოვცეთ საბჭოეთის ქვეყნის სახალხო მეურნეობას, რომელიც სწრაფად იზრდება, საწვავი მასალა, რაც ასე საჭიროა მისთვის.

აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ბაქოს კომიტეტმა და ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი ენერგია, დიდი ინიციატივა და დიდი ძალღონე დახარჯეს ამისათვის.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, აზნავთი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გამოსულა გარღვევიდან: ბურღვა, რომელიც განუყრელად არის დაკავშირებული ნავთის ამოღების გადიდებასთან, ნახევარი წლის განმავლობაში ჩამორჩა 30 და კიდევ მეტი პროცენტით.

კიდევ მეტი, ივლისში შემცირდა ნავთის ამოღებაც. ივლისის განმავლობაში ჩვენ დაგვაკლდა 164.000 ტონაზე მეტი ნავთი და აგვისტოს გასული რვა დღის განმავლობაში—დაახლოებით 25.000 ტონა ნავთი.

რაშია აქ საქმე? რა არის ნავთის ამოღების ასეთი არანორმალური ნახტომისებური მიმდინარეობის მიზეზი?

ამის მიზეზები, ამხანაგებო, მარხია იმაში, რომ ჩვენ დავმშვიდდით ნავთის ამოღების გადიდებით რაც დაიწყო მარტში და არ ვაქცევდით სათანადო ყურადღებას ბურღვის საკითხებს. მიზეზები, ამხანაგებო, მარხია იმაში, რომ ნავთის ამოღების ნახევარი წლის გეგმის შესრულებამ, რაც გაადვილა ლოკბატანის შადრევანმა, მართალია მომზადებულმა და მოსალოდნელმა შადრევანმა, მაგრამ მაინც შადრევანმა, წარმოშვა დამშვიდების და უდარდელობის ელემენტები.

ამ ელემენტებს ჰქონდათ და ახლაც აქვთ ადგილი ბაქოს ორგანიზაციის მთელ რიგ რგოლებში და აზნავთის ცალკეულ ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკთა შორის. ამავე დროს სამხარეო კომიტეტის პლენუმი ჯერ კიდევ აპრილში იძლეოდა გაფრთხილებას:

„აზნავთის მუშაობაში არსებულმა წარმატებებმა არ უნდა გამოიწვიოს დამშვიდება გეგმის შესრულებისათვის შემდგომ ბრძოლაში, ვინაიდან ეს წარმატებანი ჯერ კიდევ სავსებით არ არის განმტკიცებული. მეორე მხრით, უკვე შეიქმნა ნავთის ამოღების შემდგომი გადიდების ყველა შესაძლებლობა. ამ პირობებში ყოველგვარი დამშვიდება შეფასებული უნდა იქნას როგორც პარტიის და მთავრობის დირექტივების ჩაშლა".

გადამჭრელი და დაუნდობელი ბრძოლა დამშვიდების და უდარდელობის ელემენტების წინააღმდეგ მტკიცედ უნდა გატარდეს მთელს ჩვენს მუშაობაში. ჩვენ მთელის ძალღონით უნდა შევუტიოთ მათ. ეს არის ნავთისათვის ბრძოლაში შემდგომი წარმატებების ძირითადი პირობა.

ეს მით უფრო საჭიროა, რომ ამჟამად ჩვენს წინაშე დგას ახალი, საპასუხისმგებლო და დიდი ამოცანა, რომელიც დასახულია პარტიისა და მთავრობის მიერ,—ნავთის ამოღების საგრძნობლად გადიდების ამოცანა. შვიდი თვის განმავლობაში ჩვენ ამოვიღეთ 7.898 ათასი ტონა ნავთი, წლის დამლევამდე, 6.500 ათას ტონა ნავთის გარდა, ჩვენ უნდა ამოვიღოთ მესამე კვარტალში დამატებით 380 ათასი ტონა, და 15 ნოემბრისათვის, ნავიგაციის შეწყვეტის მომენტისათვის, კიდევ დამატებით 500 ათასი ტონა, აქედან 100 ათასი ტონა აზნავთის შიგნით საწვავი მასალის ეკონომიის ხარჯზე. ამრიგად, ხუთი თვის განმავლობაში ჩვენ უნდა მივცეთ ჩვენს ქვეყანას 7.380 ათასი ტონა ნავთი, ე. ი. იმაზე ცოტა ნაკლები, რაც მივეცით გასული შვიდი თვის განმავლობაში. 1934 წელს ჩვენ უნდა ამოვიღოთ სულ ცოტა 20 მილიონი ტონა ნავთი. ამხ. ორჯონიკიძის წერილში მოყვანილია მოტივები, თუ რამ გამოიწვია ნავთის ამოღების გადიდება საწარმოო წლის შუაგულში. პარტია და საბჭოთა კავშირის მთავრობა გვპირდებიან მატერიალურ დახმარებას ახალი გადიდებული პროგრამის შესრულების საქმეში. ამ დახმარების შესახებ კონკრეტულად არის ლაპარაკი მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბრძანებაში, რომელიც უკვე გამოქვეყნდა პრესაში. **ჩვენთვის მოცემული დავალება იმდენად მნიშვნელოვანია, მისი [illegible] მოტივები იმდენად სერიოზულია, რომ ლაპარაკიც არ შეიძლება მის რაიმე შეუსრულებლობაზე, [illegible] ნაწილში. [illegible] უნდა იქნას მიმდინარე წლის დამლევამდე 7.330 ათასი ტონა დამატებულ გეგმაში [illegible]** ეს საკითხი უაღრესად დეტალურად იქნა განხილული 7 აგვისტოს ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის სამდივნოს, აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ბაქოს კომიტეტის და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაერთიანებულ სხდომაზე. სარეწაოებსა და ცალკეულ ჭაბურღილებს შორის ამ დავალების განაწილების გეგმა სავსებით რეალურია. ეს მტკიცედ უნდა დაიმახსოვროს თითოეულმა თქვენგანმა. გეგმა სავსებით რეალურია და იგი აუცილებლად უნდა იქნას შესრულებული.

რა არის ამისათვის საჭირო?

გაერთიანებულმა კრებამ, რომლის შესახებაც მე ვილაპარაკე, გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც იძლევა მოქმედების გაშლილ პროგრამას. მასში ყველაფერი დაწვრილებით არის გათვალისწინებული. მე მოკლედ შევეხები ამ გადაწყვეტილების ძირითად მომენტებს. **მთავარი ყურადღება აქ ექცევა ბურღვის გაძლიერებას**, როგორც აუცილებელ წინაპირობას ნავთის ამოღების გასადიდებლად. წლის ბოლომდე უნდა გავშალოთ მუშაობა 300 ახალი ჭაბურღილის გასაბურღად, რათა უზრუნველვყოთ ნავთის ამოღების გადიდება 1934 წელში 20 მილიონ ტონამდე, ხოლო 25 სექტემბრამდე კი ამ 300 ჭაბურღილიდან უნდა ავამუშაოთ 85.

ვადები ჩვენ მინიმალური გვაქვს მოცემული. ამიტომ 85 ახალი საბურღი დაზგის დადგმა—ბაქოს მთელი ორგანიზაციის, მთელი აზნავთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ნამდვილად კი უკვე ახლავე შემოდის საჩივრები სხვადასხვა რაიონებიდან სარეწაოების მიერ დაზგების გამოყოფის დაგვიანებაზე, დაზგებისათვის გამოყოფილი ნაწილების უვარგისობაზე და სხვა. ეს ყოვლად შეუწყნარებელი, არაბოლშევიკური მოვლენები ძირშივე უნდა აღიკვეთოს. ამხანაგები, რომელთაც ეს არ ესმით, სერიოზულ უსიამოვნებათა წინაშე აყენებენ თავს. მე პირდაპირ უნდა გავაფრთხილო ისინი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალი რაიონების: ლოკბატანის, კალას, არტემის კუნძულის უმოკლეს ვადაში სავსებით ათვისებას. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის ახლად დანიშნულმა მდივანმა — ამხ. მუზაკარ ნარიმანოვმა ამხ. ბორცვთან ერთად უნდა უზრუნველყონ ისეთი მნიშვნელოვანი რაიონის სწრაფად და წარმატებით ათვისება, როგორიც არის კალა. ორჯონიკიძის რაიონის დასახმარებლად ჩვენ ერთი თვით ორჯონიკიძის სარეწავზე ვამაგრებთ აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. კუდრიავცევს, რომელიც ცხოვრობს კალაში. რას ნიშნავს ეს? მიმაგრების სისტემას მივმართავდით აქამდეც. მაგრამ მიმაგრების ძველ სისტემაზე ჩვენ ხელი ავიღეთ. მიმაგრება იმისათვის, რომ, ვთქვათ, ცნობები მიიღო ამხ. ბორცვისაგან,—ეს ხომ მიმაგრება არ არის, ეს ამბის უბრალო გაგებაა მუშაობის მსვლელობის შესახებ. მიმაგრება ახლა ნიშნავს—**ორგანიულ მონაწილეობას იმ ახალ სარეწაოების, ახალ ჭაბურღილების ორგანიზაციასა და ათვისებაში, რომელნიც მოეწყობიან და ძველების, როგორებიც უკეთ უნდა ვამუშაოთ.**

ახევე ვიქცევით ჩვენ ლოკ-ბატანის მიმართაც. ის რაიონები, რომელნიც დახმარებას უწევენ ლოკ-ბატანს, პასუხისმგებლობას იკისრებენ ლოკ-ბატანის თანაბრად. კერძოთ, ლენინის რაიონი სავსებით პასუხს აგებს იმისათვის, თუ როგორ იქნება დაყენებული მუშაობა ახალი დაზგების მოსაწყობად ლოკ-ბატანში. ლოკ-ბატანზე მიმაგრებულია პარტიის ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. ამატუნი ერთი თვით და ისიც მუდმივად ლოკ-ბატანში უნდა იქნეს.

ლენინის სარეწავის შესახებ საერთოდ ადგილი აქვს მითქმა-მოთქმას—ხომ არ დამდგარა დრო ამ სარეწავის ლიკვიდაციისათვის. ეს არ არის სწორი. ლენინის სარეწავი ჯერ კიდევ არ დაძველებულა ისე, რომ რაიმე ეჭვი დაიბადოს მისი ნავთის გამოშვების უნარიანობაზე. იქ მუშაობა ცოტა ვერ არის ხეირიანად დაყენებული. ჩვენ ვიძლეოდით ვადებს მუშაობის გამოსასწორებლად. ეს ვადები გავიდა და ჩვენ ვცვლით ლენრაიონში პარტიულ ხელმძღვანელობას, ვგზავნით იქ ამხ. ახუნდ-ზადეს, ნიჭიერ, ახალგაზრდა მუშაკს, რომელიც თანდათან იზრდება. ვამაგრებთ ამ სარეწავზე ამხ. გურევიჩს—ბაქოს კომიტეტის მდივანს ერთი თვით, რათა მან მხოლოდ ამ საქმეს მოჰკიდოს ხელი ამხ. ახუნდ-ზადესთან, სარეწავის დირექტორს—ამხ. კირილოვთან ერთად. მათ შეუძლიათ და უნდა წასწიონ წინ საქმე, და მითქმა-მოთქმა, რომ ლენინის სარეწავში საქმე წესზე ვერ არისო —უნდა შეწყდეს. ლენინის სარეწავი კიდევ ბევრს შეეცილება, თუ იქ საქმეს კარგად დავაყენებთ. თუ ცუდად ვიმუშავებთ, ყოველგვარი კარგი საქმე შეგვიძლია ისე დავღუპოთ, რომ შემდეგ თვითონვე გონს ვერ მოვიდეთ.

იგივე ითქმის არტემის კუნძულზედაც, რომელზედაც ჩვენ ვამაგრებთ ამხ. ბაბაევს, და სხვა რაიონებზედაც, რომელთაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ. სტალინის სარეწავზე ჩვენ ერთი თვით ვამაგრებთ ამხ. ბონდარენკოს, რომელიც ეხლახან დაინიშნა ბაქოს კომიტეტის ორგანყოფილების გამგედ, ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის აგიტმასის ყოფილ გამგეს.

გადაჭრით უნდა გარდაიქმნას ხელფასის სისტემა. ამ საქმეში დიდი არევ-დარევა და გაუგებრობაა. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბრძანებაში მოცემულია წინადადება დიფერენცირებული იქნეს ბურღვის ოსტატების და სხვა სპეციალისტების ხელფასი, სამეურნეო მუშაკებს უფლება ეძლევათ შეცვალონ ხელფასის განაკვეთი მუშაობის შესრულების და ხარისხის მიხედვით. ეს დიდი საქმეა, არ შეიძლება მისი ერთი ხელის მოსმით გადაჭრა, ჩვენ მას სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ. საამისო მასალები გვაქვს—პარტიის და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებანი დონბასის, ტრანსპორტის შესახებ. ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, ჩვენ ერთი თვით ვამაგრებთ ამხ. პავერმანს—ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის კადრების განყოფილების გამგეს, რათა მან ც. კ-ის კადრების განყოფილებასთან, ბაქოს კომიტეტთან და აზნავთთან ერთად ეს საქმე შეამოწმოს და, შემოწმების მიხედვით, ნაწილ-ნაწილად გაატაროს ცხოვრებაში დამუშავებული ტარიფები აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ც. კ-ის და ბაქოს კომიტეტის ხაზით. მათვე ევალებათ შეამოწმონ კადრების გამოყენების მსვლელობა. ოფიციალური ანგარიშების მიხედვით, საინჟინერო-ტექნიკური პერსონალის ძირეულ რგოლებში გადასროლის მხრივ თითქოს ყველაფერი კარგად არის, მაგრამ გვაქვს ცნობები, რომელნიც მოწმობენ, რომ ყველაფერი რიგზე არ არის, რომ აქ ადგილი აქვს ც. კ-ის დირექტივების ფორმალურად შესრულების მრავალ ელემენტს. ამხანაგები ამას შეამოწმებენ და მუშაობის პროცესშივე შეიტანენ კორექტივებს.

საგრძნობმა დენადობამ და, ამასთან დაკავშირებით, მუშა-ხელის ნაკლებობამ აზნავთში გვაიძულა გამოგვეტანა გადაწყვეტილება 5.000 კაცის მობილიზაციის შესახებ პროფკავშირების, კომკავშ. და სხვა ორგანიზაციების ხაზით. ეს ძალიან დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანა დაკისრებული აქვს ბაქოს კომიტეტის მდივანს—ამხ. ჰასან რახმანოვს. მაგრამ მასთან თანაბრად ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის პასუხს აგებენ სხვა ამხანაგები: ამხ. რასულოვი—პროფკავშირების ხაზით, ამხ. გრიგორიანი, ბალა ბაგიროვი და ლარიონოვი—კომკავშირის ხაზით და სხვ. ლაპარაკია, რასაკვირველია, არა ამდენი ხალხის ფორმალურ მობილიზაციაზე, არამედ ღრმად მოფიქრებულ, გეგმიან „ოპერაციაზე". საჭიროა ზედმიწევნით აწონილ-დაწონილ იქნეს სად და რამდენი კაცია გასაგზავნი, ვინ მიიღებს მათ მუშაობის ადგილას, საჭიროა მათი განაწილება წარმოებაში, მათი გამოჩევა, უნდა შევუქმნათ მათ ნორმალური საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები იმნაირად, რომ შემდეგ არ დაიწყოს,—როგორც ეს ზოგჯერ სამწუხაროდ ხდებოდა,—წარმოებიდან წასვლა.

პროფკავშირებმა, კომკავშირმა და სხვა ორგანიზაციებმა ამ საქმეში უნდა დაამტკიცონ თავიანთი მუშაობის უნარი, ნავთისათვის ბრძოლის მოწყობის უნარი.

მომარაგებაზე.

ამხანაგი იუდოვიჩი კარგი მაგარი მუშაკია. ჩვენ ის გამოვყავით სპეციალურად იმისათვის, რომ მან აზნავთის მომარაგების საქმე ფეხზე დააყენოს. ის ცდილობს, აკეთებს ყველაფერს, რაც შეუძლია, მაგრამ იმის თქმა, რომ უკვე მოხდა გარდატეხა, რომლითაც შეიძლებოდა დავკვეხნა, ჩვენ არ შეგვიძლია. ალბათ ამხ. იუდოვიჩს ცუდად ეხმარებიან. იუდოვიჩი მარტოა. მარტო იუდოვიჩი რას გახდება. **საჭიროა რომ აზნავთის ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება მიაქციოს მომარაგების საკითხებს, საჭიროა, რომ ცენტრალური კომიტეტი და ბაქოს კომიტეტი და, რაც მთავარია, რაიკომები და პროფკავშირები პირდაპირ შეუდგნენ მომარაგების საკითხების მოწესრიგებას,** რათა ადგილი არ ექნეს იმ სამარცხვინო მოვლენას, რომელიც ჩვენ გვაქვს, მაგალითად, ლენინის რაიონში, სადაც საგარეუბნო მეურნეობაში დაახარჯეს 170.000 მანეთი, ხოლო მიიღეს — 18.000 მანეთის პროდუქცია. ეს ხომ სამარცხვინო ამბავია! რას გავს ეს? ან, მაგალითად, გაანაწილეს თევზის სარეწავები მოუფიქრებლად, და გამოვიდა ის, რომ ერთ ქარხანას თევზი არა აქვს, ხოლო მეორე ქარხანას იმდენი აქვს, რომ ყიდის ხუთჯერ მეტს, ვინემ თვითონ ხმარობს. განა ეს ასე უნდა ხდებოდეს? საჭიროა, რომ მუშათა მომარაგების განყოფილებებს და მათ სათავეში იუდოვიჩს გადაჭრით დაეხმაროს არა მარტო აზნავთის ხელმძღვანელობა, არამედ მთელი პარტორგანიზაცია. ის ხომ დირექტორის მოადგილეა და არა თანაშემწე. ეს მას ერთგვარ უფლებებს აძლევს, რომლებითაც მან უნდა ისარგებლოს. ხოლო მთავარი ის არის, რომ თვითონ თქვენ მოკიდოთ ამ საქმეს ხელი. თუ არ გექნებათ კარტოფილი, ბოსტნეული, ერბო და ბურღული, თქვენ ნავთს ვერ მიიღებთ. მომარაგების საკითხი—ძალიან სერიოზული საკითხია და ყველაფერი, რაც ჩვენზე არის დამოკიდებული, უნდა გაკეთდეს, ამასთან ერთად ჩვენ ვაყენებთ საკითხს მოსკოვის წინაშე იმის შესახებ, რომ ნავთის მრეწველობის მუშები გათანაბრებული იქნენ მომარაგების მხრივ ლენინგრადთან და მოსკოვთან, ხოლო საბურღავ პარტიების და შორეული ძიების მუშები გათანაბრებული იქნენ დონბასის მიწისქვეშა მუშებთან. მაგრამ ვიმეორებ, რომ ჩვენ პირველ რიგში მოსკოვის წინაშე აღძრული თხოვნის შედეგების დაუცდელად, უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც თვით ჩვენზე არის დამოკიდებული. **ამხ. იუდოვიჩმა უფრო გაბედულად უნდა აწარმოოს** ბრძოლა და არ დაკმაყოფილდეს განცხადებით, რომ ესა და ეს მას არ მისცეს და სხ. ის ჩივის, რომ მომარაგების საკითხებს მთელ რიგ ორგანიზაციებში იხილავენ და მას კი სხდომებზე არ იწვევენ. რას გავს ეს? არ ვარგა, როცა მას არ იწვევენ, მაგრამ არც ის ვარგა, რომ იუდოვიჩი თვითონ არ მიდის. ერთხელ, ორჯერ წავალ, მესამეჯერ დაგიძახებენ (სიცილი, ტაში).

ამხანაგებო, საჭიროა მოკლედ ითქვას ხელმძღვანელობის სისტემის შესახებ. ხელმძღვანელობის სისტემა ჩვენში ცუდად არის დაყენებული. არ არის ის ზუსტი ხელმძღვანელობა, როგორიც მოეთხოვება ისეთ დიდ მეურნეობას, როგორიც არის აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობა, ხოლო ზუსტი ხელმძღვანელობის გარეშე, რანაირი მოწყობილობაც არ უნდა გვქონდეს, რანაირი პროდუქტებიც არ გაგვაჩნდეს მზა-მზარეული ჭაბურღილებიც რომ გვქონდეს და სხვა, მივიღებთ გაუგებრობასა და არევ-დარევას. ხელმძღვანელობა, ეჭვს გარეშეა, გაუმჯობესდა ახლა იმასთან შედარებით, რაც იყო შვიდი თვის წინათ. მაგრამ, როგორც ჩანს, ის ვერ მისდევს ფეხდაფეხ გაძლიერებულ მოთხოვნილებებს, გაფართოებულ და გართულებულ მუშაობას. **საჭიროა, ამხანაგებო, მეტი დარაზმულობა პირველ ყოვლისა თვით ხელმძღვანელ შტაბში.** ეს დარაზმულობა წააქეზებს სხვებს. ეს კი ჯერჯერობით არ არის, და თუ არის, არ არის საკმაო. საჭიროა მეტი კონკრეტულობა და ოპერატიულობა, სწორათ აგებული და გეგმიანი. საჭიროა თვალყური ვადევნოთ იმას, თუ ვინ როგორ ასრულებს, უნდა გვქონდეს **რეალური კონტროლი.** ისეთ დიდ საქმეში, როგორიც არის აზნავთი, კონტროლი განსაკუთრებით ზუსტად უნდა იქნეს მოგვარებული იმიტომ, რომ აზნავთში ყოველდღე იმდენი განკარგულება და მითითება მოდის, რომ თუ მათ არ ადევნებთ თვალყურს,—არაფერი გამოვა.

სამხარეო კომიტეტის ბიუროს და სამხარეო კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებში და აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ბაქოს კომიტეტის შესაბამის გადაწყვეტილებებში ნათქვამია იმის შესახებ, რომ საჭიროა **ცოდნა თითოეული ჭაბურღილის, საჭიროა რაიკომების მდივნები იცნობდნენ თითოეულ მბურღავ ოსტატს, რომ არ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ სარეწაოების დირექტორები მათ უნდა იცნობდნენ პერსონალურად.** ეს არ ხდება, ხოლო თუ ხდება, ძალიან ხშირად არა ისე, როგორც საჭიროა. ზოგიერთმა ამხანაგმა მითითება იმის შესახებ, რომ იცნობდნენ ჭაბურღილს, გაიგო ისე, როგორც ყურადღების მიპყრობა მდიდარ, „პურიან" ჭაბურღილებისადმი, როგორც კი ამოქმედდება ასეთი ჭაბურღილი, აზნავთის ყველაზე პასუხისმგებელი ამხანაგები, სამეურნეო ხელმძღვანელობა იწყებს ფუსფუსს და ხირბილს ასეთი ჭაბურღილის გარშემო. „პურიანი" ჭაბურღილი სულ 80—100-ია ჭაბურღილთა საერთო რაოდენობიდან, რაც რამდენიმე ათასს უდრის. თუ მთელი ძვირფასი დრო „მოვანდომეთ მხოლოდ ასეთი ჭაბურღილების ირგვლივ „ტრიალს", დანარჩენი ჭაბურღილები, რომელთაც ასევე შეუძლიათ, თუ მათ ყურადღება მიექცა, დაიწყონ პურიანობა და რომელთა შესახებ არავის არ შეუძლია თქვას, რომ ისინი ვერ გახდებიან მაღალდებიტიანებად,—თვითდინებაზე დარჩებიან მინდობილნი. ასეთ სისტემაზე, ამხანაგებო, დაუყოვნებლივ უნდა ავიღოთ ხელი. საჭიროა სათანადო ყურადღება მივაქციოთ გადამწყვეტ ჭაბურღილებს, საჭიროა უზრუნველვყოთ მათი ხელმძღვანელობა, მაგრამ ამასთან ერთად სამეურნეო და პარტიული ფხიზელი თვალი უნდა მივაპყროთ ყველა დანარჩენ ჭაბურღილთა მუშაობას, რათა იქ მუშაობა არ კოჭლობდეს.

უაღრესად სერიოზულ ნაკლს მუშაობაში წარმოადგენს ის, რომ საკმაო ყურადღება არ ექცევა ექსპლოატაციაში მყოფ ჭაბურღილებს. ეს სრულიად შეუწყნარებელია. ბურღვა, რასაკვირველია, ძნელია, განსაკუთრებით, თუ გამოყენებულია ღრმა ბურღვა, მაგრამ ხომ ყოველი ჭაბურღილი უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ. და თუ ჭაბურღილი მზად არის, გადაცემულია საექსპლოატაციოდ და მას უყურადღებოდ და დაუდევრად ეკიდებიან, იგი გამოდის მწყობრიდან. მაშ რისთვის ვბურღავდით? **საჭიროა უზრუნველვყოთ მაქსიმალური ყურადღება არა მარტო ბურღვის პროცესში მყოფ ჭაბურღილებისადმი, არამედ იმ ჭაბურღილებისადმიც, რომლებიც უკვე გადაცემული არიან საექსპლოატაციოდ.**

ამხანაგებო! რამდენიმე სიტყვა სოცშეჯიბრების შესახებ. აქ თითქმის არავის არაფერი უთქვამს სოცშეჯიბრებაზე, იმაზე, თუ როგორ არის ეს საქმე დაყენებული, რამდენი ბრიგადა, რამდენი მუშა და რამდენი დამკვრელი ჩაბმული შეჯიბრებაში. ცნობები ამის შესახებ გვაქვს, მაგრამ გვაქვს არა სწორი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები, ხოლო ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ამას არ ექცევა ყურადღება, რომ მთლიანად ვერ ვუძღვებით ამ მუშაობას. ამ მხრივ მოიკოჭლებს როგორც პარტიული, ისე კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციების მუშაობა.

ამხანაგებო! სამხარეო კომიტეტის, აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ბაქოს კომიტეტის და ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, როგორც უკვე ვილაპარაკე, ჩვენ საგრძნობლად ვამტკიცებთ რაიონებს. ჩვენ ვხსნით მთელ რიგ პასუხისმგებელ ამხანაგებს ცენტრალური კომიტეტის და სამხარეო კომიტეტის აპარატებში მუშაობიდან და ვგზავნით მათ რაიონებში სამუშაოდ. ამასთან ერთად. იმ მიზნით, რომ მოვახდინოთ გარდატეხა აგვისტოში, მთელ რიგ საუკეთესო ამხანაგებს, მთელ რიგ ხელმძღვანელ ამხანაგებს ვამაგრებთ რაიონებზე, რომლებიც მუდმივად იქნებიან ამ რაიონებში და ვანთავისუფლებთ მათ ყოველგვარ სხვა სამუშაოდან. ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანს ამხ. მეერზონს ვგზავნით აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ბაქოს კომიტეტის დასახმარებლად. იგი აქ დარჩება მთელი თვის განმავლობაში და თქვენთან ერთად მოაწყობს ბრძოლას ნავთისათვის, იმ გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის, რომელიც ჩვენ თქვენთან ერთად მივიღეთ.

ამხანაგებო! ნავთის მრეწველობის საკითხი—დიდი საკითხია. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ბაქოს და ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებისათვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისთვისაც. იმისაგან, თუ რამდენად წარმატებით შევასრულებთ ჩვენ ნავთის გეგმას, რამდენად ნამდვილად ბოლშევიკურად მოვაწყობთ ბრძოლას ნავთისათვის, დიდად არის დამოკიდებული საბჭოთა კავშირის სოციალისტური მეურნეობის განვითარების მიმდინარეობა, როგორც აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ბაქოს კომიტეტის, ისე პარტიის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის სიმტკიცე და მონოლიტობა.

მე, ამხანაგებო, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბაქოს ორგანიზაცია შესძლებს ნამდვილად გააჩაღოს ბრძოლა ნავთისათვის, ისე, რომ ჩვენ შეგვეძლოს დავუმატოთ რამოდენიმე ათეული და შეიძლება რამდენიმე ასეული ათასი ტონა ნავთი იმ დავალებას, რაც მოგვცა ჩვენ პარტიამ და მთავრობამ. ჩვენს განკარგულებაში არსებული უკანასკნელი ცნობები [illegible] მოწმობენ, რომ ჩვენ მივაღწიეთ წარმატებებს ამიერ-კავკასიის მთელი რიგი ძირითადი კულტურების— ჩაის, თამბაქოს, ბამბის დარგში. სავსებით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს პურის დამზადებაც. ჩვენ [illegible] გადაჭრით და სწრაფად წავიწიოთ წინ ნავთის დარგშიც.

მაშინ,—მე ამაში დარწმუნებული ვარ, ამხანაგებო,—ამიერ-კავკასიის ორგანიზაცია, რომლის დასაყრდენს, ხერხემალს და მოწინავე რაზმს წარმოადგენს ბაქოს ორგანიზაცია,—თქვენთან ერთად, თქვენი მეთაურობით ჩადგება საბჭოთა კავშირის საუკეთესო მხარეთა პირველ რიგებში და გაამართლებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის ნდობას (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).

სამთამადნო მრეწველობის მუშაობა მაღალ საფეხურზე

საქ. კ. პ. (ბ) ცეკამ და საქ. სახკომსაბჭომ თავის 8 აპრილის დადგენილებაში დონბასის ქვანახშირის მრეწველობის მუშაობის შესახებ დაგვისახეს კონკრეტული გზები არა მარტო დონბასის მრეწველობის, არამედ მთელი სამთამადნო მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესებისა და მისი გარღვევიდან გამოყვანისათვის.

კერძოდ საქართველოში ეს დადგენილება ეხება პირველ ყოვლისა — ტყიბულის ქვანახშირს, ჭიათურის მარგანეცს, ბარიტს, გუმბრინს, ანდეზიტს. ხელმძღვანელობის იმ კანცელარიულ ბიუროკრატიულ მეთოდს, რომელმაც ღრმა გარღვევამდე მიიყვანა დონბასი, ადგილი ჰქონდა და აქვს საქართველოს სამთამადნო მრეწველობის საწარმოებშიც. ხელმძღვანელობის ამ გაკოტრებულმა მეთოდმა, საუკეთესო საინჟენერო - ტექნიკური ძალების ტრესტებში და სამმართველოებში თავმოყრამ, მუშათა დენადობამ, ანტიმექანიზატორულმა განწყობილებამ და მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების უგულებელყოფამ გამოიწვია ის, რომ სამთამადნო მრეწველობამ თავიდანვე ვერ აიღო საჭირო ტემპები და წლის პირველი ნახევარი გარღვევით დაამთავრა.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს 8 აპრილის დადგენილების მიღებიდან ოთხმა თვემ განვლო. დრო საკმარისზე მეტია იმისათვის, რომ სამთამადნო საწარმოთა მუშაობა ჯერ მოებს გადაჭრით გარდაექმნათ მუშაობა პარტიის და ხელისუფლების მითითებათა თანახმად. ჩვენს ხელთ არსებული ცნობები მოწმობენ, რომ სამთამადნო საწარმოთა მუშაობა ჯერ კიდევ არაა გარდაქმნილი. ზოგან ამ დადგენილებას ერთი დროს საბოტაჟური განწყობილებით შეხვდნენ (ჭიათურა), ზოგან კი ის „მიიღეს ცნობად" და მუშაობა კვლავ ძველი გზით გააგრძელეს (გუმბრინი). საჭირო შეიქნა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სპეციალურად ჩარევა საქმეში, რომ მდგომარეობა რამოდენიმედ გაუმჯობესებულიყო.

საქართველოს სამთამადნო მრეწველობის რეორგანიზაციას დააგვიანდა. მით აიხსნება, რომ ძირითადი საწარმოები ჯერ კიდევ ვერ გამოვიდნენ გარღვევიდან. მართალია, გარდატეხა დაიწყო, მაგრამ ის სრულებით არ არის საკმარისი. გარდატეხა ჯერ კიდევ არ ქცეულა გამარჯვებათ.

თუ ავიღებთ ივლისის შედეგებს საქართველოს სამთამადნო მრეწველობაში, დავინახავთ, რომ 8 აპრილის დადგენილების გატარებისათვის ჯერ კიდევ დიდი ბრძოლის ჩატარებაა საჭირო. ხელმძღვანელობის კანცელარიულ - ბიუროკრატიული მეთოდი ჯერ კიდევ საკმაოდ იჩენს თავს, საჭიროა მისი საბოლოოდ აღმოფხვრა, მუშაობის სიმძიმის ცენტრის მიწის ზედაპირიდან მაღაროში, ბრიგადაში გადატანა, მუშაობის ისე შემობრუნება, რომ მაღაროს ცენტრალურ ფიგურას მნგრეველს შეუქმნათ ყოველგვარი პირობა გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

როგორც ვთქვით, სამთამადნო მრეწველობის საწარმოთა მუშაობაში არის ნაწილობრივი გარდატეხა ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ჭიათურის მაგალითზე. ჭიათურაში უკანასკნელ დრომდე მხოლოდ ერთი მაღარო იბრძოდა წარმატებით გეგმების შესრულებისათვის (შუქრუთის საწარმოო უბანი.) ივლისში მას გაუსწორდნენ სხვა მაღაროებიც (№ № 3, 17, 25), თუმცა შვიდი თვის დავალების შესრულებაში გამარჯვებული მარტო შუქრუთის მაღარო გამოვიდა. მიუხედავათ ნაწილობრივი გარდატეხისა, ივლისის საწარმოო დავალება მთელს მარგანეცის მრეწველობაში მაინც საგრძნობი ჩამორჩენით შესრულდა. გეგმით გათვალისწინებულ 95.645 ტონა მარგანეცის ნაცვლად ივლისში ამოღებული იქნა 85.121 ტონა, გეგმა შესრულებულია 89 პროცენტით. არც გარეცხვის გეგმაა შესრულებული. 49.520 ტონის ნაცვლად გაირეცხა 34.710 ტონა, გეგმის 70,1 პროცენტი.

კიდევ უარესი მდგომარეობაა ტყიბულში, სადაც გარდატეხის ნაცვლად ადგილი აქვს ტემპების საგრძნობლად შენელებას გასულ წელთან შედარებით. ასე, მაგალითად, თუ 1932 წლის ივლისში ქვანახშირის ამოღების გეგმა შესრულდა 78,3 პროცენტით, მიმდინარე წლის ივლისი გეგმის მხოლოდ 43,1 პროცენტს იძლევა (გეგმით ამოღებული უნდა ყოფილიყო 25.000 ტონა, ფაქტიურად ამოიღეს 10.781 ტონა).

ივლისის გეგმა ვერ შეასრულა ვერც ბარიტის მრეწველობამ; ბარიტის ამოღების გეგმა ივლისში შესრულებულია 82 პროც. ვერც გუმბრინი შეასრულებდა გეგმას, რომ იქ განსაკუთრებული ზომები არ ყოფილიყო მიღებული. მოხსნილი იქნა გუმბრინის ძველი ხელმძღვანელობა, ახალმა დირექციამ საქ. კ. პ. (ბ) ცეკას უშუალო ხელმძღვანელობით და დახმარებით ფართო მუშაობა გაშალა მუშა - ხელის ორგანიზებულად შეგროვებისა და სამუშაოთა მექანიზაციისათვის, რის შედეგადაც ივლისის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა (127,8 პროც.). ივლისში გეგმით ამოღებული უნდა ყოფილიყო 3.000 ტონა გუმბრინი, აქედან 24 ივლისისათვის ამოღებული იყო მხოლოდ 800 ტონა. ძირითადი გარდატეხა დაიწყო მას შემდეგ, რაც საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივნის ამხ. პ. აგნიაშვილის გადამჭრელი ჩარევით და ქუთაისის მთელი პარტიულ და კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლით შვიდი დღის განმავლობაში შესაძლებელი შეიქნა 3034 ტონა გუმბრინის ამოღება, ე. ი. ოთხჯერ მეტის იმაზე, რაც გუმბრინის წარმოების ძველმა ხელმძღვანელობამ, მუშაობის საბოლოოდ გაკოტრებულ ბიუროკრატიულ - კანცელარიული მეთოდებით, ვერ შესძლო 24 დღის მანძილზე.

რას მოწმობს ეს ფაქტი?

იმას, რომ **სადაც ბოლშევიკურად მოკიდეს ხელი მუშაობის გარდაქმნას საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს 8 აპრილის დადგენილების საფუძველზე, სადაც ნამდვილად დარაზმეს მუშათა მასები საწარმოო გეგმის შესრულების ირგვლივ, შედეგიც თვალსაჩინოა. იქ კი, სადაც მუშაობის გარდაქმნას ნელი ტემპით შეუდგნენ, სადაც ეს სამუშაო ვერ გაიხადეს ძირითად საბრძოლო ამოცანად, იქ წარმოებამ ჯერ კიდევ ვერ დააღწია თავი ჩამორჩენას.** ასე, მაგალითად, ბარიტის მაღაროებში და ტყიბულში, სადაც მუშა - ხელის დენადობა კვლავ გრძელდება (ტყიბულში მარტო ივლისში სამუშაოდ მოვიდა 337 კაცი, ხოლო წავიდა 429), მოუწყობელია მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები, სუსტად არის გაშლილი მასობრივ - პოლიტიკური და კულტურულ - აღმზრდელობითი მუშაობა, სათანადოთ არ არის გამოყენებული მექანიზმები (ბარიტის მაღაროები), ყურადღება არ ექცევა ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლის გაშლას. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა მარგანეცის მრეწველობაშიც. ტყიბულსა და ჭიათურას შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება არ არის გამოყენებული მეორე ხუთწლედის ამ ძირითადი ლოზუნგის — ტექნიკის ათვისების ლოზუნგის პრაქტიკულად გატარებისათვის ცხოვრებაში.

„ახალი ტექნიკის ათვისება — აი დამკვრელების ცენტრალური ამოცანა, აი ცენტრალური კვანძი სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღტკინებისა. ეხლა, მეორე ხუთწლედის პერიოდში, ნამდვილი დამკვრელია მხოლოდ ის, ვინც გეგმების რიცხობრივ მაჩვენებლებთან ერთად იძლევა მაღალხარისხოვანი მუშაობის ნიმუშებს, ახალი ტექნიკის ათვისების ნიმუშებს („პრავდა").

საქართველოს სამთამადნო მრეწველობა უნდა გამოვიდეს გარღვევიდან. ამისათვის საჭიროა მუშაობის შემდეგ გარდაქმნა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს 8 აპრილის დადგენილების საფუძველზე, შეუნელებელი ბრძოლა ამხ. სტალინის გამარჯვების ექვსი პირობის განხორციელებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცება, ახალ მექანიზმების და ახალი ტექნიკის ათვისება, რაც სწევს შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეს, ძალთა სწორად განაწილება, შრომის სოციალისტური ფორმების კიდევ უფრო ფართოდ დანერგვა და გამოყენება, პარტმასობრივი მუშაობის სიმძიმის ცენტრის ძირა რგოლებში გადატანა, საუკეთესო დამკვრელი მუშების გამოცდილების ჩამორჩენილთათვის გადაცემა.

ქვეყანა მოითხოვს მეტ ნახშირს, მარგანეცს, გუმბრინს, ბარიტს, ანდეზიტს! საქართველოს მაღაროელებმა ნამდვილი დამკვრელი ტემპების გაშლით უნდა უზრუნველყონ საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

საბჭოთა კავშირის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რაიონების საბჭოთა მეურნეობების მიერ 1933 წ. მოსავლიდან პურის ჩაბარების საბოლოო წლიური გეგმის შესახებ

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კავშირის ცენტრალური და აღმოსავლეთ რაიონებში მოსავალს უკვე კარგი პირი უჩანს, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. ამ რაიონების საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების წლიური გეგმა, პირველ მარტს დამტკიცებულის ზევით, გადიდებულ იქნეს:

შუა ვოლგის მხარეში—1.900,000 ფუთით, აქედან მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების ხაზით—350 ათასი ფუთით, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ხაზით—807,5 ათასი ფუთით, „სოიუზსახარის"—62 ათასი ფუთით, სამრეწველო საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხაზით—210 ათასი ფუთით, ყველა დანარჩენ საბჭოთა მეურნეობის ხაზით—480,5 ათასი ფუთით.

ცენტრალურ შავმიწიან ოლქში—4.320,3 ათასი ფუთით, აქედან მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების ხაზით — 1.500 ათასი ფუთი, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ხაზით—650 ათ. ფუთით, „სოიუზსახარის" ხაზით—1.200 ათ. ფუთით, მეთესლეობის საკავშირო გაერთიანების ხაზით—240 ათასი ფუთით, სამრეწველო საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხაზით—230 ათასი ფუთით, ყველა დანარჩენ საბჭოთა მეურნეობის ხაზით—500,3 ათასი ფუთით.

ბაშკირეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში—993,5 ათასი ფუთით, აქედან მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის ხაზით — 500 ათასი ფუთით, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ხაზით—150 ათასი ფუთით, მეთესლეობის საკავშირო გაერთიანების ხაზით—50 ათასი ფუთით, სამრეწველო საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხაზით—70 ათასი ფუთით, ყველა დანარჩენ საბჭოთა მეურნეობის ხაზით—223,5 ათასი ფუთით.

თათართა ავტონომიურ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში—578,3 ათასი ფუთით, აქედან: საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ხაზით 256 ათასი ფუთით, მეთესლეობის საკავშირო გაერთიანების ხაზით 86.000 ფუთით, სამრეწველო საბჭოთა მეურნეობის ტრესტის ხაზით 80 ათასი ფუთით, ყველა დანარჩენ საბჭოთა მეურნეობის ხაზით—212,3 ათასი ფუთით.

ურალის ოლქში—1.916,2 ათასი ფუთით, აქედან: მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების ხაზით—1 მილ. ფუთით, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ხაზით—300 ათასი ფუთით, სამრეწველო საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხაზით—50 ათასი ფუთით, ყველა დანარჩენ საბჭოთა მეურნეობის ხაზით—566,2 ათასი ფუთით.

დასავლეთ ციმბირის მხარეში — 3.246,8 ათასი ფუთით, აქედან: მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის ხაზით—1.990 ათასი ფუთით, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ხაზით—500 ათასი ფუთით, „სოიუზსახარის" ხაზით—15 ათასი ფუთით, მეთესლეობის საკავშირო გაერთიანების ხაზით—260 ათასი ფუთით, ყველა დანარჩენ საბჭოთა მეურნეობის ხაზით — 481,8 ათ. ფუთით.

აღმოსავლეთ-ციმბირის მხარეში—1.471,1 ათასი ფუთით, აქედან: მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში—1.200 ათ. ფუთით, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ხაზით—100 ათასი ფუთით, ყველა დანარჩენი საბჭოთა მეურნეობის ხაზით—171,1 ათ. ფუთით.

კაზაკსტანში—1.281,7 ათასი ფუთით, აქედან მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის ხაზით—650 ათასი ფუთით, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ხაზით—300 ათასი ფუთით, ყველა დანარჩენ საბჭოთა მეურნეობის ხაზით—281,7 ათასი ფუთით.

შორეულ აღმოსავლეთის მხარეში—1,048,3 ათასი ფუთით, აქედან საბჭოთა მეურნეობების ხაზით—1 მილ. ფუთით, ყველა დანარჩენ მეურნეობის ხაზით—48,3 ათ. ფუთით.

მოსკოვის ოლქში—900,2 ათასი ფუთით, აქედან მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში 350 ათასი ფუთით, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ხაზით 75 ათ. ფუთით „სოიუზსახარის" ხაზით,—87 ათასი ფუთით, მეთესლეობის საკავშირო გაერთიანების ხაზით—75 ათასი ფუთით, ყველა დანარჩენ საბჭოთა მეურნეობის ხაზით—313,2 ათასი ფუთით.

გორკის მხარეში—349,3 ათასი ფუთით, აქედან: საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ხაზით—24,5 ათასი ფუთით, მეთესლეობის საკავშირო გაერთიანების ხაზით—20 ათასი ფუთით, ყველა დანარჩენ საბჭოთა მეურნეობის ხაზით—304,8 ათასი ფუთით.

ივანოვოს ოლქში—224,9 ათასი ფუთით, აქედან: მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების ხაზით—83 ათასი ფუთით, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ხაზით—20,8 ათასი ფუთით, მეთესლეობის საკავშირო გაერთიანების ხაზით — 35 ათასი ფუთით, დანარჩენ საბჭოთა მეურნეობის ხაზით—136,1 ათ. ფუთით.

ლენინგრადის ოლქში—51,9 ათასი ფუთით, აქედან: საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ხაზით—10 ათასი ფუთით, ყველა დანარჩენ საბჭოთა მეურნეობის ხაზით—41,9 ათასი ფუთით.

ჩრდილოეთ მხარეში—38,5 ათასი ფუთით, აქედან: საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ხაზით—15 ათასი ფუთით, ყველა დანარჩენ საბჭოთა მეურნეობის ხაზით—23,5 ათასი ფუთით.

დასავლეთის ოლქში—215,4 ათასი ფუთით, აქედან: საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში—80 ათასი ფუთით, „სოიუზსახარის" ხაზით—29 ათასი ფუთით, მეთესლეობის საკავშირო გაერთიანების ხაზით—40 ათასი ფუთით. ყველა დანარჩენ საბჭოთა მეურნეობაში—66,4 ათასი ფუთით:

ბელორუსიის ს.ს. რესპუბლიკაში—181,7 ათასი ფუთით, აქედან: საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში—80 ათასი ფუთით, მეთესლეობის საკავშირო გაერთიანების ხაზით—31 ათასი ფუთით, ყველა დანარჩენ საბჭოთა მეურნეობაში—70,7 ათასი ფუთით.

2. ზემოაღნიშნულისა გამო ზემოთ ჩამოთვლილ მხარეებსა და რესპუბლიკებში დამტკიცდეს საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების შემდეგი საბოლოო წლიური გეგმა, რაც უთუოდ მთლიანად უნდა იქნას შესრულებული (ათას ფუთობით).

ოლქი, მხარე, რესპუბლიკა.	სულ	მათ შორის: მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობები	მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები	„სოიუზსახარი"	მეთესლეობის საკავშირო გაერთიანება	სახ. სამრეწვ. საბჭოთა მეურნეობები	დანარჩენი საბჭოთა მეურნეობები
1. შუა ვოლგა	11.474	6.555	1.628	135	1.006	1.055	1.100
2. ცენტრ. შავმიწიად. ოლქი	13.462	4.883	1.420	4200	755	1.020	1.184
3. ბაშკირეთის ა. ს. ს. რესპუბლიკა	3.700	2.600	255	—	215	220	410
4. თათართა ა. ს. ს. რესპუბლიკა	1.846	—	670	—	586	240	350
5. ურალი	6.389	4.500	400	—	150	164	1.175
6. დასავლეთ ციმბირის მხარე	14.237	11.000	937	115	1.285	—	900
7. აღმოსავლეთ ციმბირის მხარე	3.695	3.300	120	—	—	200	75
8. იაკუტიის ა. ს. ს. რესპუბ.	40	40	—	—	—	—	—
9. კაზაკსტანის ა. ს. ს. რესპ.	3.477	2,450	307	120	—	—	600
10. შორეულ აღმოსავ. მხარე	2.346	2.100	—	31	100	—	85
11. მოსკოვის ოლქი	2.164	700	81	258	225	—	900
12. გორკის მხარე	760	—	60	—	200	—	500
13. ივანოვოს ოლქი	559	200	21	—	70	18	250
14. ლენინგრადის ოლქი	147	—	10	—	17	—	120
15. ჩრდილოეთის მხარე	65	—	15	—	—	—	50
16. დასავლეთის ოლქი	452	—	110	102	57	33	150
17. ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკა	400	—	150	—	50	—	200

3. დაევალოს საბჭ. კავშირის საბჭ. მეურნეობების სახ. კომისარიატს, მიწსახკომს და მომარაგების სახალხო კომისარიატს, სამხარეო ორგანიზაციების მეშვეობით, ხუთი დღის ვადაში დაიყვანონ დავალება სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების შესახებ თითოეულ საბჭოთა მეურნეობამდე, ამ დადგენილების საფუძველზე.

4. გაფრთხილება მიეცეს საბჭოთა მეურნეობების და ტრესტების ყველა დირექტორს, რომ, პურის ჩაბარების გეგმის გარდა, ისინი ვალდებული არიან დააბრუნონ ნატურით სახელმწიფოსაგან მიღებული მარცვლეულის სესხი, რომ სესხის მთლიანად დაბრუნებისათვის ისინი აგებენ პასუხს ისე, როგორც პურის ჩაბარების ამ გეგმის შესრულებისათვის.

5. წინადადება მიეცეს საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, საბჭოთა მეურნეობების მიერ პურის ჩაბარების საბოლოო გეგმის დაწესებასთან დაკავშირებით, შეწყვიტონ ყოველგვარი კომისიების და რწმუნებულების გაგზავნა საბჭოთა მეურნეობებში მოსავლიანობის გამოსარკვევად და შეამოწმონ საბჭოთა მეურნეობების დირექტორების და პოლიტგანყოფილებათა უფროსების და ტრესტების დირექტორების მუშაობა ამ მხრივ, თუ როგორ ასრულებენ ისინი საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების საბოლოოდ დამტკიცებულ წლიურ გეგმას.

ს.ს.რ.კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—ვ. მოლოტოვი (სკრიაბინი).

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი—ი. სტალინი.

10 აგვისტო 1933 წ.

სოფ. წრომის კოლმეურნეობა--წითელი დაფის კანდიდატი

თავად კოტე ციციშვილის დრო

ყოფილი თავადი და მემამულე კოტე ციციშვილი ქართლსა და ხვედურეთში ცხოვრობდა, მაგრამ საღალო მიწები მას წრომშიც საკმაოდ ჰქონდა. წრომელი ღარიბი გლეხები თავადისაგან საღალოდ იღებდენ მიწას, ხნავდნენ, თესავდენ, ამუშავებდნენ.

დაიწყებოდა თუ არა მოსავლის აღება და კალოობა. ციციშვილი და მისი მოურავები კალოზე დაერჭობოდენ, მოაყენებდენ ურმებს, ფურგუნებს და მანამდე არ აიბარგებოდენ, სანამ აუტანელი ღალის ანგარიშში უკანასკნელ ფუთ პურს არ დააძვრობდენ უმიწაწყლო ღარიბებს.

ერთხელ, კალოობის მოახლოებისას, კოტე ციციშვილი აფორიაქებული მოვარდა წრომში:

— ცუდ სიზმრებსა ვხედავ, მომავალი სამი წელიწადი საარაკო გვალვიანი და მოუსავლიანი იქნება, ეფრემეფრიდიც ამას ადასტურებს და გაფრთხილებთ, — განუცხადა კოტემ იმ გლეხებს, რომელთაც მისგან იჯარით ჰქონდათ აღებული მიწები.

ეს უბრალო გაფრთხილება არ იყო. თავადი და მემამულე, ღარიბი გლეხებისაგან მიწის იჯარის ანგარიშში ერთბაშად თხოულობდა 3 წლის ღალას „ავანსად“.

— ბატონო, ნუ დაგვღუპავ შენი ჭირიმე, — შეევედრა ღარიბების მიერ მიგზავნილი მოხუცი **აბრამა მურჯიკნელი** თავადს, — რაც გერგებათ ამ წლისა ინებეთ, დანარჩენსაც ყოველ წლობით პირნათლად მოგართმევთ, როგორც ყოველთვის მოგვირთმევია.

აბრამას ვედრებამ, ხვეწნამ და ცრემლებმა არ გასჭრა. თავადმა მოკლედ მოუჭრა:

— გადაეცი გლეხებს სამი წლის ღალა ამ მოსავლიდან ჩააბარონ ჩემს სამოურავოს და თან დასძინა — ვინც ოდნავ ურჩობას გაბედავს, მიწიდანაც გავაძევებ, ძალადობისათვის კი მამასახლისს გადავცემო.

ღალის ანგარიშში წრომელ მოიჯარადრე გლეხებიდან კოტე ციციშვილს მოსავლის ერთი მესამედი მიჰქონდა. **აბრამა მურჯიკნელი** ყოველ წლიურად 3—4 ჰექტარს ხნავდა, თესავდა და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ ნათესიდან მას თავის ოჯახში წლიურად 30—35 ფუთზე მეტი პური მიეტანოს. აბრამასთანა მშიერი გლეხები მათ მიერ მოწეულ პურის სესხულობდენ მემამულე კოტე ციციშვილისაგან და მომავალ წელს ამ სესხს მამასისხლად უხდიდენ.

საკოლმეურნეო მინდვრები

ახლა წრომში **სხვა მზე** ანათებს. ახლა აქაური ღარიბი და საშუალო გლეხები გაერთიანებულნი არიან **კოლმეურნეობაში.** ეს კოლმეურნეობა **პირველია პირველთა შორის.** მთელს სტალინისის რაიონში. თავად **ციციშვილის** მიწებს ახლა **კოლმეურნე ბრიგადირები გეგმავენ.**

მიმდინარე წელს წრომელებმა ხვნათესვა დროზე და სანიმუშოდ ჩაატარეს და მოსავლიც ბარაქიანად დაადგეს. წრომელებმა იციან, რომ სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების და კოლმეურნეობისათვის საჭირო ფონდების გამოყოფის შემდეგ დარჩენილი მარცვლეული რჩება **მთლიანად მათს განკარგულებაში.**

გაიგეს რა ეს, წრომელებმა, გააჩაღეს კიდეც ნამდვილი თავდადებული ბრძოლა მაღალი მოსავლისათვის, კულაკები დასცინოდენ ერთგულად მომუშავე კოლმეურნეებს:

— იმუშავეთ, მაგრამ ბეღლები არ ჩაგექცეთ — ღვარძლიანად ხითხითებდენ ისინი.

— ჭკუაზე მაშინ მოხვალთ, როდესაც თქვენი პურის ბარაქას წითელი ქარავანი გააქრობს — დასძენდენ კულაკების დამქაშები, რომლებიც სოფლის სალაყბოზე, წისქვილში თუ ორღობეში დაძვრებოდენ საჭორიკანოდ და პურის ჩაბარების ახალი კანონისათვის სახელის გასატეხად.

წრომელი კოლმეურნეები კი თავიანთ საქმეს აკეთებდენ. მათ წინასწარ მოფიქრებული და გონივრულად შედგენილი გეგმის მიხედვით დროზე დაიწყეს მოსავლის აღება.

გეგმა, დისციპლინა, აღრიცხვა

არავითარი არევ-დარევას არ ჰქონია ადგილი. არა წესს გადასული დაბნეული სიჩქარე, არა უთავბოლობა და ლობე-ყორეს მიდება, არამედ **დაჯერება, გაგონება, დისციპლინა და ანგარიში.** — აი როგორი წესით შეუდგენ წრომელები მოსავლის აღებას.

მანქანებითა და ცელით მომკილი მათ მოფოცხეს ჯერ ცხენის და მერე ხელის ფოცხებით, **ყანის ნაპირები მომკეს ხელით და ამის შემდეგ ქალებს და მოზარდებს დაავალეს აქა-იქ დარჩენილი თავთავების მთლიანად ხელით შეგროვება.** ეს დავალება სანიმუშოდ შესრულდა. ამჟამად ყანები მთლიანად გასუფთავებულია. წრომიდან ახალი სოფლის მიმართულებით რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ჩვენ ვნახეთ წრომის კოლმეურნეობის ნაპურალი, იგი ხელისგულივით გაწმენდილია. ყველაფრიდან ჩანს, მკა და აღება ჩაუტარებია საქმის მცოდნე და ძარღვიან ხალხს.

ვალდებულება სახელმწიფოს მიმართ შესრულებულია

პირველი წითელი ქარავანი გომის „ზაგოტზერნო“-ს მიმღები პუნქტისაკენ წრომელებმა გაგზავნეს 18 ივლისს. 30 ივლისისათვის კი სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების **წლიური დავალება** კოლმეურნეობას **შესრულებული ჰქონდა მთლიანად.**

აწარმოებდენ რა ერთ და იმავე დროს მოსავლის აღებას, ლეწვას და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარებას, წრომელები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ **ხარისხს და დანაკარგებთან ბრძოლას.** სახელმწიფოს მათ ჩააბარეს **პირველხარისხოვანი** მარცვლეული.

გასულ წელს წრომის კოლმეურნეობას კარგი მოსავალი მოუვიდა და ამიტომ მათ სახელმწიფოსაგან სათესლე, სასურსათო და არც საფურაჟო სესხი არ აუღიათ. თესლით, სურსათით და ფურაჟით მთელი მათი მოთხოვნილება კოლმეურნეებმა საკუთარი რესურსებით დაიკმაყოფილეს.

აგარის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის წრომის კოლმეურნეობისაგან მოსავლის აღებასა და გალეწვაში 200 ფ. მარცვლეული ერგებოდა ნატურანაზღაურების სახით 7 აგვისტ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **ს. მიქელაშვილი** თვითონ წავიდა სატრაქტორო სადგურში, ზუსტად იანგარიშეს, თუ რამდენი პური უნდა ჩაბარდეს სადგურს კოლმეურნეობისათვის გაწეული მომსახურეობაში. ცხრა აგვისტოს კი მან სადგურს გაუსწორა ანგარიში მთლიანად.

წრომელები მიმდინარე წლის შემოდგომაზე და 1934 წლის გაზაფხულზე პურს და ქერს მათ მიერ ნავარაუდევი გეგმით სთესენ 240 ჰექტარზე. ამ ფართობის დიდი ნაწილი დაითესება მანქანებით და ცოტაოდენი კი მოხნევით. თითო ჰექტარზე საშუალოდ ათი ფუთი თესლია საჭირო, სულ კი 2400 ფუთი. **სათესლე მასალის ეს რაოდენობა კოლმეურნეობას უკვე გამოყოფილი, გაწმენდილი და შენახული აქვს ბოქლომდადებული, ისე, რომ ის ყოველმხრივ დაცულია გაფუჭებისა და გატაცებისაგან. გამოყოფილია აგრეთვე დასაზღვევი ფონდი 360 ფუთის რაოდენობით.**

პირუტყვის საკვებად კოლმეურნეობა ხმარობს თივას, ბზეს, ჩალას და სიმინდს. თივა და ბზე უკვე მომარაგებული და დაჯავშნულია, ხოლო ჩალა და სიმინდი დამატებით გამოყოფილი იქნება სიმინდის მოსავლის აღებისთანავე.

12,3 კილოგრამი პური შრომა-დღეზე

სახელმწიფო დავალებათა შესრულების და კოლმეურნეობისათვის საჭირო ფონდების გამოყოფის შემდეგ შრომა-დღეებზე გასანაწილებლად კოლმეურნეობას დარჩა ხალასი პური და ქერი 10.000 ფუთი. კოლმეურნეობის გამგეობაში უკვე იანგარიშეს და გამოდის, რომ 5 აგვისტომდე გამომუშავებულ თითო შრომა-დღეზე კოლმეურნე მიიღებს 12,3 კილოგრამ პურს.

ახლა კოლმეურნეობა ყველა ანგარიშებს აზუსტებს, ყოველგვარი აღრიცხვა წესრიგში მოყავს, **ერთხელ ნაანგარიშევს კიდევ ანგარიშობენ,** რომ რაიმე შეცდომას და გაუგებრობას არ ექნეს ადგილი და ემზადებიან მოსავლის შრომა - დღეების მიხედვით განაწილებისათვის.

და აი, თავად **კოტე ციციშვილის** ნაყმევი **აბრამა მურჯიკნელიც** აქ არის. ის უკვე ძალზე მოხუცია, მაგრამ კოლმეურნეობაში მაინც მარჯვედ და ერთგულად მუშაობს. ან როგორ არ იმუშავებს, როდესაც ის კოლმეურნეობიდან მისთვის ჯერ არ ნახულ მოსავალს ღებულობს.

აბრამამ და მისმა ოჯახის წევრებმა მიმდინარე წლის იანვრიდან პირველ აგვისტომდე გამოიმუშავეს 377 შრომა-დღე. კოლმეურნეობის გამგეობის გამოანგარიშებით ამ შრომადღეებში აბრამას ერგება 290 ფუთი პური.

აბრამა ახლა თავის ძველ ბეღელს, რომელმაც საეჭვოა გაუძლოს ამოდენა მოსავლის სიმძიმეს, **რემონტს უკეთებს და ამზადებს მოსავლის ჩასაყრელად.**

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, აბრამა 3—4 ჰექტარს ამუშავებდა ყოველ წლიურად **კოტე ციციშვილის** ბატონობის დროს და, როგორც თვითონ განაცხადა სახლში 30-35 ფუთი პური ძლივს მიჰქონდა. ახლა წრომის კოლმეურნეობის თვითეულ წევრზე დასამუშავებლად საშუალოდ მოდის 2 ჰექტარი, აბრამას კი კოლმეურნეობა მიუწყავს 290 ფუთ პურს.

აბრამა, მოხუცია, წერა-კითხვა სუსტად იცის, მას არითმეტიკული გამოანგარიშების თავი არა აქვს, მაგრამ იგი ისე ბეჩავი როდია, რომ ციციშვილის სანადელო მიწიდან და საკოლმეურნეო მინდვრებიდან მიღებულ მოსავლის განსხვავება ვერ გაიგოს.

აბრამას მეზობელი **ვასო შუბითიძის** ოჯახიდან კოლმეურნეობაში ორი მუშაობს, გამოიმუშავეს მათ 140 შრომა-დღე და მიიღებენ 107 ფუთ პურს. ვასო სოლომანიშვილის ოჯახიდან მხოლოდ ერთი კაცია შრომის უნარიანი, გამოიმუშავა მან 123 შრომა-დღე და ღებულობს 98 ფუთ პურს.

მთელი სოფელი კოლმეურნეობაში

მოსავლის გადიდებისაკენ იყო მიქცეული მშრომელი კოლმეურნეების უმთავრესი ყურადღება. ამისათვის მათ მთლიანად გამოიყენეს თავიანთ განკარგულებაში მყოფი საშუალებები. კოლმეურნეობის პურის და ქერის მოსავალი ერთ ჰექტარზე 10 ცენტნერამდე აღწევს. იქვე კი კოლმეურნეობის ყანების გვერდით იყო ერთპიროვნული გლეხების ნათესები. ამ გლეხების მოსავალი კოლმეურნეობის სალეწით გალეწეს და გამოირკვა, რომ ერთპიროვნულ მეურნეებს ვასო და კოზა **ჯიოშვილებს** კი მოუვიდათ 5—6 ცენტნერი—ჰექტარზე. ერთპიროვნული მეურნე **ილო კაბერაშვილმა** კი ერთ ჰექტარზე ძლივს აიღო 3 ნახევარი ცენტნერი.

ღარიბ და საშუალო გლეხებს აქედან სათანადო დასკვნები გამოყავთ. წრომში მიმდინარე წელს არც ერთი ღარიბი და საშუალო გლეხი არ რჩება კოლმეურნეობის გარეშე.

აკაკი ჭოჭუა.

სოფ. წრომი, სტალინისის რაიონი.

მისალმება

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს ამხ. სტალინს

აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ბაქოს კომიტეტის პლენუმი ბაქოს ორგანიზაციის აქტივთან ერთად გიგზავნის შენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, მხურვალე ბოლშევიკურ სალამს. ბაქოელ ბოლშევიკებს ესმით, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აწევთ პარტიისა და ქვეყნის წინაშე. ბაქოს ორგანიზაციისა და ბაქოს პროლეტარიატის წინაშე 1933 წლის მეორე ნახევარში დგას დიდი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ამოცანა— წლიური გეგმის ზევით ამოიღოს, გადაამუშაოს და მისცეს ქვეყანას დამატებით ასობით ათასი ტონა ნავთი. ბაქოელმა ბოლშევიკებმა იციან, რომ პარტიის ნაკაზის შესრულებას ისინი შესძლებენ მხოლოდ სისტემატიური ბრძოლით ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, მხოლოდ დაჭიმული, მოფიქრებული და სერიოზული მუშაობით, ახალ ვითარებაში მუშაობის შესახებ ყველა შენი მითითების განხორციელებისათვის მხოლოდ ბოლშევიკური ბრძოლით.

ბაქოელი ბოლშევიკები გაძლევენ შენ, ჩვენს საყვარელ ბელადს, პირობას, რომ სტალინურად იბრძოლებენ და დასძლევენ სიძნელეებს და დეფექტებს და შეასრულებენ პარტიის საბრძოლო დავალებას.

ბაქოელ ბოლშევიკებს და ბაქოს პროლეტარიატს მთელი პარტიისა და ქვეყნისათვის არა ერთხელ უჩვენებიათ სოც. მშენებლობის წარმატებისთვის ბრძოლის მაგალითები, დღეს დავძაბავთ ყველა ძალებს, ბოლშევიკებისათვის ჩვეული ენერგიით და ნებისყოფით მივაღწევთ უმნიშვნელოვანესი დირექტივის შესრულებას და მივცემთ ქვეყანას, ქარხნებს, ტრანსპორტს, საკოლმეურნეო მინდვრებს და თავდაცვისათვის ნავთის საჭირო რაოდენობას.

გაუმარჯოს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს—ამხ. სტალინს!

ბაქოს კომიტეტის დავალებით—აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ბაქოს კომიტეტის მდივანი **რუბენი.**

საწარმოო თათბირების მუშაობის პრაქტიკის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილება

ილიჩის ბუხტის, კაგანოვიჩის სახ. ნავთის სარეწაოს, კარაკლისის ქიმკომბინატის და ტფილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მაგალითზე საწარმოო თათბირების მუშაობის გამოცდილების შესწავლამ გვიჩვენა, რომ პროფორგანიზაციების მხრივ არასათანადოდ შეფასებისა და გულგრილი დამოკიდებულების, აგრეთვე პარტორგანიზაციების მხრივ სუსტი ყურადღების გამო აღნიშნულ საწარმოებში საწარმოო თათბირები ჯერ ისევ ძველებურად მუშაობენ და არ გადაქცეულან საწ.-საფინ. გეგმის შესრულებისა, ტექნიკის დაუფლებისა, შრომის ნაყოფიერების აწევისა და წარმოების რაციონალიზაციისათვის ბრძოლის ჭეშმარიტ იარაღად.

საბჭოთა კავშირის მოწინავე საწარმოთა („შარიკოპოდშიპნიკი“ და სხვ.) გამოცდილება საწარმოო თათბირების მუშაობის გარდაქმნის დარგში სრულებით არ გამოუყენებიათ აღნიშნულ საწარმოთა პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტი აღნიშნავს, რომ საწარმოო თათბირების გარდაქმნის ძირითად ამოცანას შეადგენს **თითოეულ საწარმოში საწარმოო-ტექნიკური გამოცდილების ფართოდ დაგროვება, შესწავლა და საუკეთესოდ გამოყენება** და წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციას საწარმოო თათბირების მუშაობის უახლოეს დროში გარდაქმნისას იხელმძღვანელონ შემდეგით:

1 საერთო საქარხნო საწარმოო თათბირები მოაწყონ ორ თვეში ერთხელ მაინც, საამქროებისა—თვეში ერთხელ მაინც და ბრიგადების, ცვლათა და სპეციალობების მიხედვით (მჭედლები, ზეინკლები, ბურღვის ოსტატები და სხვ.) თათბირები—საჭიროების მიხედვით, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც.

2 თვითეული საწარმოო თათბირისათვის მომზადება ჩაატარონ ისე, რომ თითოეული მუშა ყოველ შემთხვევაში ერთი დეკადით ადრე გაეცნოს ყველა საკითხს, რომელიც განხილული იქნება თათბირზე.

ამისათვის გამოიყენონ საქარხნო და საამქრო ბეჭდვითი ორგანოები, საუბრები, კითხვებისა და წინადადებების შეგროვება, ბრიგადებში თეზისებისა და წინადადებების წინასწარი დამუშავება, საინჟინერო-ტექნიკური მუშაკებისა და დამკვრელების ჩაბმა წინადადებათა მომზადებაში და მოსამზადებელი საკითხების დამუშავებაში, პროფორგების, ჯგუფორგების, ბრიგადირების წინასწარი ინსტრუქტაჟი, საუკეთესო ინჟინერების, კონტროლიორების, ლაბორატორიების მუშაკთა, ტექნიკური ხელმძღვანელების და სხვათა გამოსვლების წინასწარი მომზადება.

3 გადაჭრით აიღონ ხელი საწარმოო თათბირების მიერ საწარმოო გეგმების შესრულების ზოგადი საკითხების განხილვაზე და საწარმოო თათბირების მუშაობა წარმართონ სამუშაო დღის შემჭიდროებისათვის ბრძოლის კონკრეტული საკითხების გადაჭრის, განხილვის ხაზით, გამომუშავების ჯანსაღი, ტექნიკურად შემოწმებული ნორმისათვის ბრძოლის, ტექნიკურ-საწარმოო-საფინანსო გეგმის გატარების გამოცდილების, ახალი ტექნიკის ათვისების გამოცდილების, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის გამოცდილების განხილვის ხაზით. ამისათვის ფართოდ გამოიყენონ „შარიკოპოდშიპნიკის“ გამოცდილება — „შრომის მაღალი ნაყოფიერების წითელი წიგნი“, საწარმოს საუკეთესო ადამიანთა— დამკვრელთა ანგარიში მაღალი მაჩვენებლებისათვის მათი ბრძოლის გამოცდილების შესახებ, ტექნიკის დეტალებისა და მოწინავეთა მუშაობის ჩვევებისა და „წვრილმანების“ განხილვა, ჩამორჩენილი ბრიგადების ინსტრუქტირება გამოცდილების მქონე დამკვრელთა მიერ, მოწინავეთა გამოცდილებაზე ახალი მუშების აღზრდა, სპეციალისტ-გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მოხსენებები.

4 საწარმოო თათბირების საშუალებით დამკვრელთა დადებითი გამოცდილების დაგროვებისა, გამოვლინებისა და გავრცელებისათვის ბრძოლაში საჭიროა ჩაბმული იქნეს საწარმოს ყველა ორგანიზაცია: პარტკომუჯრედი, ფაბქარხადგილკომი, კომკავშირი, საინჟინერო-ტექნიკური მუშაკები, სატარიფო-სანორმირებო ბიურო და სხვ.

გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ საერთო ლაპარაკს და დაუსრულებელ რეზოლიუციებს ტექნიკის ათვისების შესახებ. **ძირითადი ამოცანა უნდა იყოს დამკვრელთა გამოცდილების შესწავლა და ფართოდ გამოყენება და ორგანიზებულად დაყენებული ტექსწავლება.**

5 მოაწყონ საწრმოო თათბირების გადაწყვეტილებათა შესრულების ნამდვილი საზოგადოებრივი კონტროლი. შემოიღონ, როგორც წესი, თითოეულ საწარმოო თათბირზე ცნობათა მოსმენა წინა საწარმოო თათბირის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის შესახებ.

ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტი წინადადებას აძლევს რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აგრეთვე ამიერკავკ. პ.კ.ს., რესპუბლიკანურ პ.კ. საბჭოებს და ყველა პროფორგანიზაციას და პრესას ფართოდ გაშალონ მუშაობა საწარმოო თათბირების გარდასაქმნელად ამა გადაწყვეტილების საფუძველზე.

საკავშირო წითელი დაფა

„სოციალისტური შეჯიბრება ამბობს: ზოგი მუშაობს ცუდათ, ზოგი კარგად, ზოგი უკეთესად,—დაეწიე უკეთესებს და მიაღწიე საერთო წარმატებას“.

(სტალინი).

უკრაინის კ. პ. (ბ) დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის წარდგენით საკავშირო, წითელ დაფაზე შეტანილი იქნება:

1. კოლმეურნეობა „ვოსხოდი“—ნოვოტროიცკის რაიონი, დნეპრო-პეტროვსკის ოლქი.

კოლმეურნეობამ საგრძნობ წარმატებებს მიაღწია მოსავლიანობის, კერძოდ, საგაზაფხულო კულტურების გადიდების საქმეში. ჰექტარიდან საშუალოდ აღებულია ხორბალი 10 ცენტნერი, ქერი 19 ცენტნერი.

მთლიანად შესრულებულია სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა, შეტანილია ნატურგადასახდელი სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მიერ შესრულებულ სამუშაოსათვის და შექმნილია სათესლე, დასაზღვევი და საფურაჟე ფონდები.

თუ გასულ წელს კოლმეურნეობაში ერთ შრომადღეზე მოდიოდა 2 კილოგრამზე ნაკლები, წელს თითოეულ საკოლმეურნეო შრომა-დღეზე კოლმეურნეები მიიღებენ მარტო მარცვლეულ კულტურებს 6 კილოგრამზე მეტს, ხოლო დანარჩენ კულტურებთან ერთად—დაახლოებით 8 კილოგრამს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **ივანე კუშნირი.** საუკეთესო დამკვრელი ბრიგადირი—ამხ. **ეფრემ შევჩენკო;** საუკეთესო დამკვრელი კოლმეურნეები: ამხ. **დავით მოროზი, ნაზარ ესენი, ფენია ჟუკოვა, სოფია დიტიატკო, ივანე შევჩენკო.**



სურათზე (მარცხნიდან მარჯვნით); კოლმეურნეობის დამკვრელი დარაჯი **ივანე შევჩენკო,** ხელს აწერს ამხ. სტალინისათვის წარსადგენ პატაკს პურის ჩაბარების დამთავრების შესახებ; კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ივანე კუშნირი,** ბრიგადირი **ეფრემ შევჩენკო,** დამკვრელები **დავით მოროზი** და **ნაზარ ესენი.**

პასპორტიზაციის ჩასატარებლად მუშაკთა მობილიზაციის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის 1933 წლის 11 აგვისტოს დადგენილება

მიუხედავათ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებისა, რომ თავის დროზე უზრუნველყოფილი იქნან საპასპორტო პუნქტები საჭირო მუშაკებით, საქ. კ.პ.(ბ) ტფილისის კომიტეტი აღნიშნავს, საბოტაჟის ფაქტებს, დაწესებულებათა და საწარმოო ცალკეული ხელმძღვანელების მხრით, რომლებიც აფერხებენ მუშაკთა გაგზავნას დროებით საპასპორტო პუნქტებზე და რომლებიც ამ სამუშაოზე გზავნიან არა საკმაოდ მტკიცე და შრომის უნარის მქონე მუშაკებს.

საქ. კ.პ.(ბ) ტფილისის კომიტეტი ადგენს:

1. გამოეცხადოს საყვედური ამხ. **გერ. კალანდაძეს** (საქართველოს სააფთიაქო სამმართველოს მმართველის მოადგილე). იმისათვის, რომ მან არ შეასრულა ტფილისის კომიტეტის დადგენილება პასპორტიზაციის ჩასატარებლად მუშაკთა მობილიზაციის შესახებ.

2. გაფრთხილებულ იქნას დაწესებულებათა და საწარმოთა სამკუთხედები, რომ მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა, საპასპორტო პუნქტებზე სამუშაოდ ისეთ მუშაკთა გაგზავნისათვის, რომლებიც არ შეეფერებიან თავის დანიშნულებას, აგრეთვე მობილიზებულ მუშაკთა თავის დროზე გამოცხადებისათვის.

საფრანგეთის გარნიზონის გადაგზავნა გერმანიის საზღვარზე

პარიზი, 10 აგვისტო. გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთის გარნიზონის ზოგიერთი ნაწილები მერში, გადაყვანილი იქნენ გუნიმ-კუმსსა და შალამპეში— უშუალოდ გერმანიის საზღვარზე მდებარე პუნქტებში. ჯარების გადაჯგუფებას გაზეთები ხსნიან ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით, რომლებიც შეშფოთებულნი არიან გერმანიის მოიერიშეთა მიერ გამოწვეული ინციდენტებით (ადს).

ერიო ჩავიდა თურქეთში

სტამბოლი, 10 აგვისტო. გუშინ საღამოს სტამბოლში ჩამოვიდა ერიო. ნავთსადგურში ერიოს შეხვდენ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, ადგილობრივი ხელისუფლება, საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულები და ბულგარეთის ელჩი. ხვალ ერიო მიემგზავრება სოფიაში. თურქეთში დაბრუნების შემდეგ ერიო ეწვევა ანკარას, სადაც მას მიიღებს პრეზიდენტი. გაზეთები, უთმობენ რა დიდ ყურადღებას ერიოს მოგზაურობას თურქეთსა და საბჭ. კავშირში, მიუთითებენ, რომ ამ მოგზაურობას მიუხედავათ იმისა, რომ მას არა აქვს ოფიციალური ხასიათი, მთელ მსოფლიოში ანიჭებენ დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას. (ადს).

კუნძულ კუბაზე მომხდარი ამბების ირგვლივ

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო. კუბას დირექტორმა მაჩადომ გამოსცა დეკრეტი მთელს მხარეში სამხედრო წესების შემოღების შესახებ. გავანაში თავს უყრიან ჯარს. საყოველთაო გაფიცვას შეუერთდა რამდენიმე ათასი სახელმწიფო მოსამსახურე, რის გამო დაირღვა ხაზინის, სასწავლებლების და კავშირგაბმულობის მუშაობა. მდგომარეობა საკვები პროდუქტების მომარაგების მხრივ კრიტიკულია. ბევრ ქალაქში ადგილი ჰქონდა გაფიცულთა შეტაკებას პოლიციასთან, ორივე მხრიდან ბევრია მოკლული. ბრძოლას ადგილი აქვს სოფლებშიც. სანტაკლარას რაიონში ჯარის მიერ პირველი სამი კვირის განმავლობაში მოკლულია ასი გლეხი, რომლებსაც ბრალს სდებენ იმაში, რომ ისინი დახმარებას უწევენ აჯანყებულებს.

კუბაზე მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, რუზველტმა მიიღო კუბას ელჩი, გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ მათ საუბრის დროს აღიარეს „შიმშილის და დეპრესიების განსაკუთრებით მწვავე ხასიათი კუბაზე, და ამიტომ საჭიროა პოლიტიკურ სფეროშიც მიღებულ იქნას ზომები, რომლებიც გააუმჯობესებენ მდგომარეობას უმოკლეს ვადაში. ამ ცნობას სთვლიან იმის მაჩვენებლად, რომ ამერიკის წრეები, რომლებიც დაინტერესებული არიან თავისი კაპიტალური დაბანდებებით, ცდილობენ მიაღწიონ მღელვარების შეწყვეტას კუბაზე მაჩადოს გადადგომით და მისი შეცვლით ახლანდელი ბურჟუაზიული ოპოზიციის, მთავრობით, რომელიც ასეთივე ყურმოჭრილი მონა იქნებოდა ამერიკის კაპიტალის. (ადს).

მთავრდება კვლევა-ძიება

ხაბაროვსკი, 8 აგვისტო. ხაბაროვსკის საგამომძიებლო ორგანოები იუწყებიან, რომ მთავრდება, კვლევა-ძიება მანჯურიიდან „ტუნსანიდან“ გადმოსხმულ 10 შეიარაღებულ რუს თეთრგვარდიელის (უხტომსკი და სხვ.) საქმის გამო, რომლებიც დაპატიმრებულ იქნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

კვლევა-ძიებით დადასტურდა, რომ ყველა დაპატიმრებული პირი ეკუთვნის ხარბინის ჯაშუშურ ორგანიზაციას, რომელიც მოქმედებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და დაკავშირებულია მანჯურიის ზოგიერთ სამხედრო წრეებთან. აღნიშნულმა ჯაშუშთა ჯგუფმა, როგორც დადასტურდა, 1931 წლის ოქტომბრიდან განავითარა ენერგიული საქმიანობა იმ მხრივ, რომ იგი ადგენდა ჯაშუშურ დივერსიულ ჯგუფებს და ბანდიტთა რაზმებს შორეულ აღმოსავლეთის მხარის სანაპირო ზოლში და თავის ამოცანად ისახავდა აქტიურ შეიარაღებულ ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

თურქეთის სპორტსმენების

საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ

სტამბოლი, 10 აგვისტო. გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ თურქეთის სპორტსმენების ყოფნას საბჭოთა კავშირში, ისინი ყოველდღე ათავსებენ დეპეშით მიღებულ ცნობებს, სურათებს და წერილებს ამ თემაზე. ოფიციოზი „ხაკიმიეტ მილიე“ აღნიშნავს, რომ თურქეთის და საბჭოთა სპორტსმენ ახალგაზრდობას შორის გამართული შეჯიბრების შედეგები საშუალებას გვაძლევენ გამოვიყვანოთ ზოგიერთი საერთო დასკვნები. ჩვენ ვფიქრობთ,—სწერს გაზეთი,—რომ რუსების უპირატესობას ფეხბურთში აქვს თავისი მიზეზი. ეს მიზეზია—რუსების კოლექტიური დარაზმულობა. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ორი მეგობრულად განწყობილი ქვეყნის ახალგაზრდობას შეუძლია ბევრი რამ ისწავლოს ერთმანეთისაგან. დასასრულ გაზეთი მადლობას უხდის საბჭოთა კავშირის ბელადებს და საბჭოთა სასპორტო ორგანიზაციებს, რომლებმაც მოაწყეს თურქეთის და საბჭოთა ახალგაზრდობის ეს შეხვედრა (ადს).

რკ. გზ. ტრანსპორტის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილებათა რეალიზაციისათვის

ნაკლები ბრძანებები, მეტი ცოცხალი და კონკრეტული ხელმძღვანელობა ძირეულ სატრანსპორტო რგოლებს

სამი ბრძანება ერთ საკითხზე

ხაშურის საორთქლმავლო დეპოს უფროსად დაინიშნა წევის დარგის გამოცდილი მუშაკი, 27 წლის საწარმოო სტაჟით, ინჟენერი, კომპარტიის წევრი ამხ. **ლეჟავა,** რომელმაც ტრანსპორტზე მუშაობა დაიწყო 1906 წელს ბაქოს დეპოში მოწაფედ, გაიარა წევის დარგის ყველა საფეხურები, უკანასკნელად დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და მუშაობდა ა.-კ. რკ. გზ. მეორე საექსპლოატაციო რაიონის ყოფ. წევის დარგში.

17 ივლისის ბრძანებით გზის სამმართველომ ხაშურის დეპოს ყოფ. უფროსი ამხ. **პეტრე ლოლაძე** გაათავისუფლა თანამდებობიდან და წინადადება მისცა ახალ უფროსს ამხ. ლეჟავას გამოეყენებია იგი დეპოში სხვა სამუშაოზე; უფროსის მოადგილედ ტექნიკურ ნაწილში დაინიშნა ამხ. **ლევან ლოლაძე.**

ამხ. ლეჟავას ხელმძღვანელობით დეპო მუშაობდა 5 აგვისტომდე და, უნდა ითქვას, რომ ლეჟავამ შესძლო მუშაობის გარდაქმნა ახალ საფუძვლებზე.

1 აგვისტოს იწერება ახალი ბრძანება, რომლის თანახმად დეპოს უფროსის თანაშემწე ტექნიკურ დარგში ამხ. ლევან ლოლაძე იცვლება ამხ. პეტრე ლოლაძით, ხოლო პირველი უნდა გამოიყენონ სხვა სამუშაოზე დეპოში. ეს ბრძანება ძალაში რჩება მხოლოდ 4 აგვისტომდე; შემდეგ მას ცვლის ახალი ბრძანება იმის შესახებ, რომ ამხ. ლეჟავა განთავისუფლებულია დეპოს უფროსის თანამდებობიდან და მის ადგილზე ინიშნება ამხ. პეტრე ლოლაძე.

ამით ხაშურის დეპოს ხელმძღვანელობა გზის სამმართველომ შეასუსტა. არსებითად დარჩა ძველი მდგომარეობ. გზის მე-2 რაიონის აპარატიდან გადაგზავნილი ერთად - ერთი კვალიფიციური მუშაკი ამხ. ლეჟავა გზის სამმართველომ უკანვე გამოიწვია.

რაშია საქმე? პარტიამ და მთავრობამ სასტიკად გააკრიტიკეს ტრანსპორტზე ბრძანებების წესით ხელმძღვანელობა და მოითხოვეს ბრძანებების რიცხვის მაქსიმალურად შემცირება, ა.-კ. რკ. გზის სამმართველო კი ისევ ძველი მეთოდებით მუშაობს. **რაღაც 15—20 დღის განმავლობაში იგი ერთსადაიმავე საკითხზე სცემს სამ ბრძანებას და ისიც ისეთს, რომელიც საქმეს კი არ ეხმარება, არამედ ხელს უშლის.**

კერძოდ, ხაშურის მაგალითის შესახებ უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში დაშვებულია უხეში შეცდომა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ხსნიან კარგ მუშაკს იმ დროს, როდესაც მან შესძლო მეურნეობის ფეხზე დაყენება და შეუდგა მუშაობის გაშლას. აუცილებელია ადგილზე სამუშაოდ გადაგზავნილი კარგი მუშაკების მტკიცედ დამაგრება და არა მათი ერთი ადგილიდან მეორეზე ხშირად გადასროლა.

ა. კ. ძე

ივლისის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა

(ხაშურის დეპო)

ივლისში ხაშურის დეპოს გეგმის მიხედვით უნდა შეეკეთებია 217 ვაგონი და ერთი ორთქლმავალი.

ეს დავალება საგრძნობი გადაჭარბებით იქნა შესრულებული. **ტრანსპორტის რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებულმა ახალმა სავაგონო დეპომ შესძლო 217 ვაგონის ნაცვლად 272 ვაგონის შეკეთება.**

საორთქლმავლო დეპომ ერთი ორთქლმავლის ნაცვლად შეაკეთა სამი ორთქლმავალი.

ამგვარად, პარტიის და მთავრობის დადგენილებების რეალიზაციამ ხაშურის დეპოში თავისი პირველი გამოხატულება უკვე ჰპოვა პრაქტიკულ მუშაობაში. საჭიროა მიღწეული წარმატების განმტკიცება და მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავება.

ჯ—ა.

ხაშურის დეპო რეორგანიზაციის შემდეგ

რეორგანიზაციის შედეგად ხაშურის საორთქლმავლო დეპოში ჩამოყალიბდა რვა კომპლექსური შემკეთებელი ბრიგადა, თითოეულ ბრიგადაში გაერთიანებულია 10—22-დე კაცი. ამასთანავე ჩამოყალიბებულია ექვსი ინდივიდუალური ბრიგადა. რეორგანიზაციის პროცესში გამოიყო ახალი სამეურნეო ანგარიშის ბრიგადები ცალკე სპეციალობათა მიხედვით: მექვაბეების, მეღუმლეების, მესპილენძეების, დურგლების და სხვ.

30 ივლისს მოწვეულ იქნა დეპოს გაერთიანებული საწარმოო თათბირი, სადაც მუშებს გააცნეს მუშაობის ახალი ფორმები; განაწილებულ იქნა სამუშაოები ცალკე ბრიგადებსა და მუშაკებს შორის. 1 აგვისტოდან გაიშალა მუშაობა ახალი სტრუქტურით. ყველა მუშაკები თავის ადგილზეა. რეორგანიზაციის შემდეგ სამუშაოს გარეშე დარჩა რამდენიმე კაცი, რომლებიც გამოყენებული არიან სხვა დეპოებში (შორაპანი, აჯიკაბული და სხვა).

დეპოში პირველ და მეორე კვარტალში მუშაობდა 2 ოსტატი, 7 მონტიორი და 8 ბრიგადირი, ახლა მუშაობს 4 ოსტატი და 8 ბრიგადირი.

თვალსაჩინოდ შემცირდა ადმინისტრატიულ-ტექნიკური შტატი. 59 კაცის ნაცვლად აპარატში დარჩა 38 კაცი. გაუქმდა ტექპროპაგანდის ხელმძღვანელის და მასობრივ მომუშავის თანამდებობანი, შრომის ეკონომიკის ბიურო, შემცირდა მემანქანე-მასწავლებლების რიცხვი; შემცირებაში მოყოლილები გაიგზავნენ ორთქლმავლებზე.

ჩამორჩენაა ნორმების გადასინჯვის დარგში. უნდა აღინიშნოს, რომ რეორგანიზაცია ამ საკითხს ხაშურის დეპოში ჯერ არსებითად არც კი შეხებია. ამ დარგში მუშაობას აბრკოლებს სახელმძღვანელო მასალების და ინსტრუქციების უქონლობა. გზის სამმართველო დეპოს ამ მხრივ არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევს.

ამას სასწრაფოდ უნდა მიექცეს ყურადღება. გზის სამმართველომ დროზე უნდა მიაწოდოს დეპოს მასალები ნორმების გადასინჯვის საკითხზე, სატრანსპორტო-საფინანსო გეგმები და საერთოდ უზრუნველჰყოს იგი ცოცხალი ხელმძღვანელობით.

საორთქლმავლო მეურნეობიდან სავაგონოს გამოყოფა ხაშურში ნორმალურად ჩატარდა. სავაგონო დეპოსათვის გამოყოფილია საჭირო ინვენტარი და მუშაკები.

დეპოში სამუშაოდ გაგზავნილი სპეციალისტები ბინებით უზრუნველყოფილი არიან.

შ. ჯანჯღავა.

ინჟენერ-ტექნიკოსების ბინებით უზრუნველყოფაზე არ ზრუნავენ

(ქუთაისის კვანძი)

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილებებს რკინის გზის ტრანსპორტის შესახებ ქუთაისის რკინის გზის კვანძის ინჟინერ-ტექნიკოსები დიდი ენტუზიაზმით გამოეხმაურენ. მთელი რიგი ინჟინერ-ტექნიკოსები უკვე გადავიდენ ტრანსპორტის ძირეულ რგოლებში სამუშაოდ. კვანძის ინჟინერ-ტექნიკოსების უმეტესობა გაგზავნილია სალიანდაგო დარგის დისტანციაში.

დისტანციის პირველ საოსტატოში გაგზავნილია ტექნიკოსი გ. ჭურაძე, მესამეში — ლ. იოსელიანი, მეოთხეში — გ. თოდუა, მეექვსეში—ალავიძე, ასევე გადასული არიან ხაზებზე სამუშაოდ ინჟ. შ. ლორთქიფანიძე და ტექნიკოსი დ. კვინიკაძე. სავაგონო დეპოს უფროსად დანიშნულია ინჟ. სვანაძე.

ხაზზე გადაგზავნილი ინჟენერ-ტექნიკოსები ენერგიულად შეუდგენ მუშაობას და პრაქტიკულად ახორციელებენ პარტიის და მთავრობის დირექტივებს, მხოლოდ მათ ხელს უშლის ერთი გარემოება. ეს ისაა, რომ ხაზებზე მომუშავე სპეციალისტები არ არიან უზრუნველყოფილი ბინებით.

ამ გარემოებაზე თავის დროზე მიეთითა კვანძის სამეურნეო, პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებს, მაგრამ მათ აქამდე არ მიუღიათ ზომები.

საჭიროა ეს მდგომარეობა სასწრაფოდ გამოსწორდეს. ხაზებზე მომუშავე ინჟენერ-ტექნიკოსები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ ბინებით როგორც ამას პარტიის და მთავრობის დადგენილება მოითხოვს.

დ. ბვილავა.

საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობისათვის

სოციალისტური დრამატურგიის ხელმძღვანელი როლის განმტკიცება თეატრში სოციალისტური თეატრისათვის ბრძოლის ძირითადი რგოლია

შ. დადიანი

ჩვენი სატკივარი

პირდაპირ ვთქვათ: დრამატურგია ჯერ კიდევ ვერ ავიდა სათანადო სიმაღლეზე, იგი ვერ გაუსწორდა თანამედროვე ჩვენი ეპოქის მოთხოვნილებებს, და ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში, ჯერ კიდევ ვერ მოიხმარა თავის უნარი და სრული შესაძლებლობა.

ეს უდავოა. მაგრამ ისიც უდავოა, რომ ჩვენი დრამატურგია იზრდება დღითი-დღე, ეძებს ახალ შემოქმედებით გზებს, თავს აღწევს ძველ შემუშავებულ ტრაფარეტს და სადღეისო საკითხებს, უფრო მხატვრულად, უფრო მეტის ოსტატობით აშუქებს.

ასეა მთელ კავშირში. ასეა საქართველოშიაც.

ძველი ოსტატები თანდათან უახლოვდებიან დღევანდელ დღეს, იდეოლოგიურად უფრო იხვეწება და ზუსტდება მათი პროდუქცია, ახალგაზრდები თანდათან შორდებიან მშრალ აგიტკებს და მხატვრულად ამდიდრებენ თავიანთ ნაწარმოებს.

საბჭოთა ხელისუფლება დიდათ უწყობს ხელს დრამატურგიის აღორძინებას. თათბირები, კონფერენციები, მოძმე რესპუბლიკის დრამატურგთა შეხვედრები, მათი გამოცდილების ერთმანეთისათვის გაზიარება, დასასრულ ადგილობრივად გამოცხადება კონკურსისა, ყველა ეს დიდი სტიმულია დრამატურგიის უფრო ძლიერად ასამოქმედებლად და მეტი ნაყოფიერების შესაქმნელად, მხოლოდ ჩვენში, საქართველოში, ერთ არანორმალობას აქვს ადგილი.

ეს არის თეატრის მიერ თითქმის უგულებელყოფა ადგილობრივ დრამატურგიისა.

უმთავრესი თეატრი საქართველოში. რუსთაველის თეატრი მაინც სულ იმის ჩივილშია, რომ დრამატურგია თითქოს არ მოუყვება და უსუსურობას ბრალსა დებს.

მთელი რიგი პიესებისა მოწონებულია და გატარებული სათანადო ორგანოებში. თვით თეატრების მიერაც არის მიღებული და მოწონებული, მხოლოდ თუ არ იდგმება და არ დადგმულა, მიზეზი უფრო სხვაგან უნდა ვეძიოთ და არა პიესების უვარგისობაში.

მთავარი მიზეზი გახლავთ ჩვენი თეატრების მოუქნელი მუშაობა. მაგ. რუსთაველის თეატრმა შარშან მისცა მხოლოდ ერთი პრემიერა მთელი სეზონის განმავლობაში—„ინ. ტირანის", რომელიც თითქმის რამოდენიმე წლის მანძილზე მზადდებოდა და სხვა პიესები კი ისინიც, რომელსაც თეატრი ამუშავებდა: „პოლიფა" ქანთარიასი და „ხავაი" ბააზოვის ვერ გამოაქვეყნა. ჩვენ აღარას ვამბობთ იმ პიესებზე, რომლებიც თვით თეატრის მიერ დიდის სიხარულით იყო მიღებული და მოწონებული, მაგრამ სამუშაოთ ხელი არ მოეკიდნია.

რასა თქმა უნდა დრამატურგიისათვის ასეთი ტემპით მუშაობა მეტად შემაფერხებელია.

ასეთ პირობებში დიდი შემოქმედება ვერ გაიშლება და თანდათანობით ზრდას აქ ადგილი არ ექნება.

უსათუოდ ეს არის დიდათ მტკივანი ადგილი და ამას მოვლა უნდა.

შემდეგ. ვთქვათ როგორმე მოხდა და დაიდგა რომელიმე ავტორის პიესა.

დადგმულში ავტორი ველარ სცნობს თავის პიესას.

გასამართლებლად მოჰყავთ მაგალითები, რომ სხვაგანაც დიდი რეჟისორები დიდ ავტორებს და თვით კლასიკოსებსაც უკეთებენ ასეთ ოპერაციებს.

ყოვლად შეუწყნარებელი საქმეა. აქ ცნებათა აღრევაა. საქმე მიდგომაა, გამოვლინება პიესისა თეატრის მიერ. უდავოა, რომ თვით კლასიკოსებს დღევანდელის ჩვენი თვალსაზრისით უნდა მიუდგეთ და ამ პრიზმაში გამოვავლინოთ, ხოლო გამომჟღავნება ყოველთვის ისეთ მარცხს გამოიწვევს, როგორიც მოუვიდა მაგ. ვახტანგოვის თეატრში დადგმულ „ჰამლეტს", თეატრმა სასახლის კარის ინტრიგანობამდე ჩამოიყვანა ნაწარმოები. რა უყოთ რომ მეტად საინტერესო იყო იგი დადგმის მხრივ. სანახაობა უფრო სხვა დარგის საქმეა და დრამის თეატრში ჩვენ უწინარეს ყოვლისა დრამატურგიისა და მსახიობის ოსტატობას მოვითხოვთ.

აღრევაა ცნებათა ის, რომ რეჟისორულ მონტაჟს თანაავტორობად აღიარებენ.

აუცილებლად თეატრი მუშაობს აღებულ დრამატიულ ნაწარმოებებზე და იქ იწყება სხვა ახალი შემოქმედება, მთელი რიგი ხელოვნებისა მსახიობის, რეჟისორის, მხატვრის, მუსიკოსის, ინჟენერის და სხვ. მხოლოდ იწყება, მუშაობა განსაზღვრულ მასალაზე. იმაზე, ვინაიდან ყოველ ავტორს აქვს თავის პიესაში თავისი ლოღიკა, ქრონოლოგია, ტერიტორიალური მოსაზრებანი, არქიტექტონიკა მისი ნაგებობისა და სხვ. მე განგებ არას ვამბობ დედა—აზრზე, ტიპების მდგომარეობისა, განცდასა და კონფლიქტებზე. ეს ხომ საანბანო ჭეშმარიტებაა.

მაშასადამე პიესა, როგორც ერთგვარი სახის მქონე შენობა უნდა დარჩეს იმ შენობათ, რათაც ის განზრახულია და თეატრს უნდა მოეთხოვოს, რომ მან თავის ხელოვნების საშუალებით და ღონისძიებით კიდევ უფრო გაამშვენოს და წინ გამოსწიოს მისი ღირსებები და არა ის, რომ წალკოტის ნაცვლად, მან გამიმართოს საავადმყოფო.

უთუოდ ეს მდგომარეობაც მეტად მტკივნეულია და ამასაც დიდი მოვლა უნდა.

კარგად ვიცით, რომ რეჟისორის გაბატონებამ თეატრში დრამატურგს ზიანი მიაყენა. ეს არაა ახალი, ძველია, ძველია და ეს მარტო ჩვენში არა ხდება, მაგრამ განა ამისათვის ხმა არ უნდა ამოვიღოთ და გულხელდაკრეფილი შევცქეროდეთ დრამატურგები ასეთ მდგომარეობას?

ეს არაა სამართლიანი და ამ საკითხს უთუოდ გადასინჯვა უნდა საერთოდ.

მე ვიცი საიდანაც მოდის თეატრისა და რეჟისორის ესე „მაღლა დგომა" დრამატურგებზე.

თეატრი უსათუოდ თავისთავად ხელოვნებაა. მისი საწყისები არ მოდის ლიტერატურიდან, დაწერილი პიესებიდან და.. შეიძლება დღეს მას, ატავისტურ მიზეზის გამო თავი უნდა გაინთავისუფლოს ავტორებისაგან. ამაში არის ლოღიკა, ისე, როგორც მუსიკასა სურს სიტყვებს თავი დააღწიოს.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ლიტერატურამ დაიპყრო თეატრი და შექსპირამდე აიყვანა იგი, მას შემდეგ, რაც გოლდონიმ სძლია გოცცი და განსაკუთრებით დღეს, როცა ჩვენ თეატრისაგან საიმპროვიზაციო მდგომარეობას თუ ცალიერ სიტყვებს კი არა ვთხოულობთ, არამედ კარგათ აწონილ-დაწონილ დედა-აზრსა და შინაარსს პიესისას, ნამდვილ ცხოვრებიდან კარგათ მოფიქრებულს სურათების გადმოცემას. უდრამატურგოთ თეატრი ვერ იცოცხლებს.

მაშ ფართო გზა დრამატურგს.

სანდრო შანშიაშვილი

თეატრი—არა მარტო რეჟისორის!

სხვაგან და სხვა დროს, რომელი ეპოქაც არ უნდა ავიღოთ, თეატრამდე დრამატურგის გზა დიდი ბარიკადებით იყო ჩახერგილი. დიდი ბრძოლა სჭირდებოდა, რომ ნაწარმოები რომელიმე თეატრს მიეღო და თუ მიიღებდა, მევახშე დირექტორის ბრჭყალებში ვარდებოდა კერძო ჯიბის გასასქელებლად.

დღეს სულ სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე.

დღეს პირიქით დრამატურგს წასახალისებლად სოციალიზმის მშენებელ ქვეყანაში ცხადდება კონკურსები. დრამატურგი მართლაც არქივის მისაბარებელი ეგზემპლიარი უნდა იყოს, რომ კალამს ხელი არ მოჰკიდოს.

ასეთია მოპყრობა ხელისუფლების მხრივ. მაგრამ როგორია თეატრების, დირექციის და რეჟისორების მოპყრობა დრამატურგიისა და დრამატურგებისადმი?

არის მათ შორის კავშირი და შეთანხმებული მუშაობა?

არა თუ შეთანხმებული მუშაობა, არამედ რეჟისორები ხშირად ჰქმნიან ისეთ პირობებს, რომ დრამატურგებს მუშაობა უძნელდებათ.

ერთ-ერთ დისპუტზე განსვენებულმა კ. მარჯანიშვილმა განაცხადა: მომეცით სილოვან ხუნდაძის გრამატიკა და მე მას სცენაზე გავაფორმებო.

იმ დროს პატივცემულ რეჟისორს პირდაპირი პასუხი არავინ გასცა გარდა შალვა დადიანისა, ისიც ძალიან მორიდებით.

ამ პარადოქსში უთუოდ გამოსჭვივოდა დრამატურგიის როლის შეუფასებლობა.

ვინც თეატრთან ახლოს არ დგას, ნურც გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ დღეს ავტორი თეატრში უსახო პიროვნებაა, სცენას გამოტოვებენ, სხვას ჩაუმატებენ შეიტანენ ფოქსტროტს, ჯაზბანდს — და ხანდახან ვიღებთ სრულიად საწინააღმდეგოს, რაც ავტორს არც კი დასიზმრებია.

ავტორს პიესა მიაქვს თეატრში განსაზღვრულ იდეებით და განსაზღვრულ ფორმით, ხოლო რეჟისორს წინასწარ თავისი მოფიქრებული იდეა და ფორმა აქვს. გინდა თუ არა, ეს პიესა ჩემს მზამზარეულ ფორმას უნდა შეუფარდოო. დრამატიულ ნაწარმოებმა ისეთი ტანსაცმელი უნდა ჩაიცვას, როგორიც მას უკვე შეუკერეს. სიგნავენ, აკერებენ და ბოლოს დომხალი გამოდის. ხშირად პიესა მარცხდება.

თეატრია არა რეჟისორის და მით უმეტეს მისი კაპრიზების, არამედ თეატრი დრამატურგის თავისი ფორმით, შინაარსით და იდეოლოგიით.

ამით მე ის არ მინდა ვთქვა, თითქოს ავტორი შეუმცდარია და მისგან დაწერილი პიესა თეატრალურად მუდამ გამართული.

არა! მაგრამ შესწორებაც და გაფორმებაც პიესის მთავარ ხერხემალიდან უნდა გამომდინარეობდეს, რომ ერთმანეთზე გადაბმული მთავარი აზრი არ დაირღვეს და შიგ ისეთი ელემენტები არ იქნეს შეტანილი, რომელიც მთავარ იდეას არ დაჩრდილავს.

დღეს გაბატონებულია რეჟისორი და პიესას ისეთ დღეს აყენებს, რომ სურს კატა ლომად მოაჩვენოს და ლომი კატად. რეჟისორი პიესიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ წინასწარ შემუშავებულ თავის ფორმულებიდან, რათა აჩვენოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი ოსტატობა, რომელიც შეიძლება სხვაგან და სხვა გარემოებაში ძალიან გენიალურიც იყოს მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ის არის ცხენის კები ხარის ზურგზე. ხშირად ამას არა თუ მაყურებელი საზოგადოება, არამედ თვით კრიტიკოსები კი ვერ ამჩნევენ და ხარს იწუნებენ, მიტომ რომ მას ზედ მშვენიერი და კოხტა ცხენის კები ადგია. ხარი რასაკვირველია ახეთ მდგომარეობაში მართლაც ან სახაცილოა, ან საცოდავ მდგომარეობაშია, მაგრამ არ კითხულობენ: ვისი მეოხებით?

ამის გამო ხდება ავტორისა და რეჟისორის შორის გათიშვა.

რეჟისორი მოსილია ძალაუფლებით. მის ხელშია არჩევანი. „დაემორჩილე ჩემს გემოვნებას"! უკარნახებს რეჟისორი.

აი, დაიდგა ყველასგან ცნობილი შილლერის „ყაჩაღები". ჩვენ ეს პიესა გვინახავს თითქმის ყველა ენაზე და ყველა გამოჩენილ მსახიობთაგან ნათამაშევი. ვნახეთ რუსთაველის თეატრშიც. ყველაფერი იქ თითქოს დიდებულია, მაგრამ ამ სილამაზეს უცქერ აუღელვებელი, თითქოს გძინოს და ჭრელ სიზმარს ხედავდე. რატომ ხდება ეს? ეს ხდება მიტომ, რომ აქ ხაზი გასმული აქვს არა შილლერის შინაარსს, არამედ მის გარეგნობას. რეჟისორმა მოაზღვავა იმდენი ზედმეტი ფერები და ისეთი მონტაჟი გაუკეთა პიესას, რომ მხოლოდ გარეგნობა გიტაცებთ შინაარსის და სიღრმის გადაშლას რეჟისორის ხერხთან ერთად მსახიობიც სჭირდება და რომ რეჟისორმა მსახიობი მარცხს აცდინოს, იერიში მიაქვს გარეგნულ ეფექტებზე.

რეჟისორის ასეთი დიქტატურის დროს, ზევითაც ვსთქვი, პიესები მკვდრად აწყვია, რეჟისორს ლენინგრადში უსაყვედურებენ: შენი რეპერტუარი მოიკოჭლებს სოციალური და თანამედროვე პიესებითო. რეჟისორი ბრალს სდებს ავტორებს, რომ ავტორები ჩამორჩნენ ცხოვრებას; რასაკვირველია, ეს მხოლოდ საკუთარი თავის გამოლამაზებაა და ავტორების გაშავება დაუმსახურებლად.

სოციალური პიესები თეატრს აქვს, („სალტე" პ. სამსონიძის და „განგაში" ალ. მაშაშვილის), მაგრამ ეს პიესებიც მის გემოვნებას, არ შეეფერება.

სოციალური პიესები იმავე დროს ყოფაცხოვრებითი პიესებია, სადაც ამოფხვრილია აბსტრაქცია და ყალბი პათოსი. ამგვარ ჟანრს რუსთაველის თეატრი იმრიგად სდგამს, რომ მომქმედი პირები ცრუ კლასიკურ პოზას იღებენ, რაც, შეიძლება; მინდიას და ანზორს იირ შევამჩნიოთ, მაგრამ რომელიმე კომკავშირელს ან ალმასკომის მიმართ კი შევამჩნევთ.

დასკვნა:

თეატრი არა მარტო რეჟისორის, არამედ თეატრი დრამატურგის, სადაც რეჟისორი იქნება სახეების და იდეოლოგიის გამშლელი, სპექტაკლის ორგანიზატორი. „თეატრში, დრამატურგია უნდა იყოს წამყვან ძალად", დღეს ასეთია ლოზუნგი, მასვე მოითხოვს სალი გონება და სოციალისტური რეალიზმი.

გ. ბუხნიკაშვილი

თვითმოქმედი ხელოვნება

„ხელოვნება ხალხს უნდა ეკუთვნოდეს, თავისი ფესვებით ღრმად უნდა ჩაინერგოს მოსახლეობის ფართო მასებში.
(ლენინი).

რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენ ამჟამად თვითმოქმედი ხელოვნების განვითარების, დარგში?

თითქმის არ არსებობს არავითარი ხელმძღვანელობა ცენტრიდან, არ არსებობს მეთოდიური ცენტრი, რომელიც აწვდიდეს ადგილებს მეთოდიურ მითითებებს, რეპერტუარს და სხ.

რაიონებში ხშირად სრულად უყურადღებოდ სტოვებენ ამ საქმეს. არავითარი ცოცხალი ინსტრუქტაჟი. ძალიან ცოტა დახმარება მატერიალური.

საქართველოში ჯერ ჩვენ არ გამოგვიცია სათანადო მეთოდიური სახელმძღვანელო თვითმოქმედ წრეებისათვის. ჯერ არ მოგვიწყვია ფართო მასშტაბით თვითმოქმედ ხელოვნების მუშაკთა მოსამზადებელი და გადასამზადებელი კურსები. ცუდად არის დაყენებული პიესების გამომცემლობის საქმე.

ერთად ერთი ორგანიზაცია, რომელიც შედარებით დამაკმაყოფილებელ პრაქტიკულ მუშაობას აწარმოებს ამ დარგში—ეს კომკავშირია.

ჩვენ გვქონდა საშუალება გავცნობოდით სოფლისა და ქალაქის თვითმოქმედ დრამწრეების მუშაობას და დავრწმუნდით თუ რა უყურადღებობას აქვს ადგილი ამ დიდი საქმის მიმართ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საერთო ხელმძღვანელობის რადიკალურ გაუმჯობესებას „თვითმოქმედ ხელოვნებაზე. დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით, განსაკუთრებით განსახკომის—დაუყოვნებლივ უნდა მოვაწყოთ თვითმოქმედ ხელოვნების რესპუბლიკანური მეთოდ-ცენტრი. მისი ამოცანები უნდა იყოს: თვითმოქმედ ხელოვნების იდეიურ-პოლიტიკური და მხატვრული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა, ცოცხალი ინსტრუქტაჟი ადგილებზე, წრეების ხელმძღვანელთა მომზადება და გადამზადება, მეთოდიური სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემა, რეპერტუარის შერჩევა-გავრცელება. ამ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კომკავშირმა, რადგან წრეების შემადგენლობა ადგილებზე უმეტესად კომკავშირულია და კომკავშირს განსაკუთრებით დიდი ამოცანები აქვს დასახული კულტურულ-პოლიტიკურ მუშაობაში. დიდი როლი უნდა მივაკუთვნოთ პროფკავშირებს, როგორც ცენტრში ისე ადგილებზე, რომელიც დღეს დღეობით ძალიან სუსტად კიდებს ხელს ამ საქმეს. განსაკუთრებით კი მოვალეა მიიღოს აქტიური მონაწილეობა მთელი თავისი აპარატით განსახკომმა.

დრამატიული წრეები მწვავე დანაკლისს განიცდიან რეპერტუარში. მუსიკალურ-წრეებისათვის ხომ თითქმის არაფერი არ არის გამოცემული. ჩვენი გამომცემლები რატომღაც გაურბიან ჩვენი მუშაობის ამ ფრიად საპასუხისმგებლო დარგს. ეს მაშინ, როცა მასიური პიესა რაც უნდა დიდი ტირაჟით არ უნდა დაიბეჭდოს რამოდენიმე კვირაში ვრცელდება.

რეპერტუარის შექნას თვითმოქმედ ხელოვნებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. რეპერტუარის შექმნა არ უნდა იყოს ერთი და ორი დრამატურგის საქმე, არამედ მის განვითარებაში დრამატურგიის ყველა ძალები უნდა დაინტერესოთ. ეს დაინტერესება კი მოხდება მაშინ, როდესაც შევქმნით მტკიცე ორგანიზაციულ და მატერიალურ ბაზას თვითმოქმედ ხელოვნებისათვის.

თვითმოქმედ ხელოვნებისათვის განსაკუთრებით საჭიროა დახმარება ჩვენი თეატრების მხრივ. თამამად ვიტყვით, რომ არც ჩვენი ცენტრალური და არც რაიონული თეატრები თითქმის არავითარ დახმარებას არ უწევენ ამ საქმეს. საჭიროა გარდატეხა მოხდეს ამ ხაზითაც.

გერცელ ბააზოვი

ყრილობისა და კონკურსის წინაშე

ყრილობა და კონკურსი—ორი უდიდესი ეტაპია სოციალისტური ეპოქის დრამატურგიის განვითარების გზაზე. ყრილობაზე მოსმენილი იქნება ოთხი მოხსენება დრამატურგიის შესახებ (კირპოტინი, პაგოდინი, ტოლსტოი, კირშონი). კონკურსი გამოცხადებულია როგორც საკავშირო, აგრეთვე რესპუბლიკანური მთავრობების მიერ. გარდა საბჭოთა კავშირისა, არსად მთელ მსოფლიოში ამის მსგავს ფაქტებს არა აქვს ადგილი. უცხოეთში—დრამატურგია—კერძო საქმეა, ჩვენში—სახელმწიფო.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, თითქმის ყოველდღიურად იპყრობს გამარჯვების ახალ ახალ მწვერვალებს. ურალის სამანქანო ქარხანა, ბალტიისა და თეთრი ზღვის არხი, ნატახტარი, რიონჰესი, მოსკოვის მეტროპოლიტენი, ვოლგასა და მოსკოვ-მდინარის შეერთება—ყოველივე ეს გმირული ეტაპებია პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვების გზაზე.

მისდევს დრამატურგია ფეხდაფეხ ცხოვრებას?

არა.

ეს უნდა ითქვას გარკვევით, მოურიდებლად, ბოლშევიკური თვითკრიტიკით.

ჯერ პიესის ფორმის შესახებ.

ჩვენდა შეუმჩნევლად მოხდა და ხდება ახალი ტიპის პიესის ფორმაცია. დღევანდელი პიესა ველარ ეტევა ძველი ცნებების ჩარჩოებში. წინედ ზუსტად იყო მოხაზული. ტრაგედია, დრამა, კომედია. დღეს ხდება ჟანრების შერევა. გარდა ამისა ამ ჟანრების ძველი განმარტება—ყოველდღიურად ჰკარგავს თავის მნიშვნელობას. ის, რაც კაპიტალისტურ წყობილების პირობებში შეიძლება ჩაითვალოს ტრაგედიად—შესაძლებელია ის ჩვენთვის დღევანდელ ეტაპზე სრულიად არ იყოს ტრაგედია. ასევე უდიდესი საზღვარია ძველ კომედიასა და საბჭოთა კომედიის შორის. ძველი კომედია ემსახურებოდა ბურჟუაზიულ აღვირახსნილობას, ეროტიულ თავგასულობას, მეშჩანურ გემოვნებას. პროლეტარიატს უნდა სხვაგვარი სიცილი: ჯანსაღი, ძლიერი—ახალი პირობების, ახალი საწყისების ფონზე.

საბჭოთა კომედია—მიზნად ისახავს ახალ ახალი პრობლემების დასმას, შემჩნეული დეფექტების გამოსწორებას, დაუნდობელ ბრძოლას ძველი ქვეყნის ჩვევების რეციდივებთან. ხოლო რაც შეეხება საბჭოთა დრამას—იგი აღარ არის „წმინდა დრამა". მასში შეიჭრა ღრმა სოციალური მოტივებით როგორც ტრაგიკული, აგრეთვე კომიკური ელემენტები.

ამგვარად უკვე დაწყებულია ახალი ტიპის პიესის ფორმაცია. იგი-ძიების პროცესშია. ფორმა ჯერ კიდევ ვერ გამოხატავს სოციალისტური ეპოქის მოთხოვნილებას, მაგრამ შესამჩნევი ნაბიჯებია მაინც გადადგმულია ამ მიმართულებით.

ყრილობაზე დიდ ადგილს დაიჭერს დრამატურგიის სადაო საკითხების განხილვა. ერთი მხრით აფინოგენოვი და კირშონი („ხასიათების დრამატურგია") და მეორე მხრით ვიშნევსკი და პაგოდინი („მდგომარეობათა დრამატურგია")—შეეცდებიან თავისი დრამატურგიული პოზიციების დასაბუთებას.

მოძმე რესპუბლიკებთან შედარებით საქართველოში უფრო მეტ სიძნელეებთან გვაქვს საქმე. ორიგინალური დრამატურგიის განვითარება თეატრის გარეშე წარმოუდგენელია, ხოლო ჩვენში თეატრები იჩენენ აშკარა უგულვებელყოფას ავტორების მიმართ.

რევოლუციის თეატრმა აღზარდა ზარხი, პაგოდინი, ვიშნევსკი. ისინი თავის პიესებს ამუშავებდნენ და ამუშავებენ თეატრში მუშაობის დროს. ეს ასეც უნდა იყოს.

ხშირად თეატრები ეუბნებიან ავტორებს: „დაწერა შენი საქმეა, ტრაქტოვკა კი—ჩვენიო". ეს დებულება, როგორც ძირითადში შეცდარი და დაგმობილი უნდა იქნეს.

რა საჭიროა ციხეების აღმართვა ავტორსა და მის მომქმედ პირების შორის? ვუჩვენოთ დრამატურგს თავისი გმირები—წინასწარი მუშაობის პროცესში ყოველგვარი შემდგომი გაუგებრობის თავიდან ასაცდენად.

ამავე დროს თავისი მხრით დრამატურგიც მოვალეა იფიქროს, მეტი იზრუნოს თავისი პროდუქციის ხარისხის შესახებ.

სოციალისტურ ეპოქას აქვს დიდი ტილოები, დიდი პრობლემები, ესაჭიროება ძლიერი ფორმა სახ. კომ. საბჭოს მოწონებას ყოველი დრამატურგი უნდა შეხვდეს სიამაყით.

სამწუხაროდ, საქართველოში პირველი საკავშირო ყრილობისათვის და კონკურსისათვის მზადება მიმდინარეობს ჯერ კიდევ მოდუნებული ტემპებით. დრამატურგიული შემოქმედებითი საკითხები, კონკრეტული ანალიზი ქართული საბჭოთა დრამატურგიის პრაქტიკისა— ჯერ კიდევ არ გამხდარა ფართო მსჯელობის საგნად.

საჭიროა მოხდეს გარდატეხა, ვინაიდან დრო აღარ იცდის: ყრილობამდე დარჩა მხოლოდ ერთი თვე.

არც ერთი წუთით არ დავივიწყოთ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ დიად სოციალისტურ ეპოქაში. მთელი შემოქმედებითი ცეცხლით და გასკეცებული ენერგიით ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ დავდგეთ ეპოქის სიმაღლეზე და შევქმნათ მისი შესაფერი, ღირსეული პიესები.

საქართველოს დრამატურგები

ს. შანშიაშვილი, შ. დადიანი, გ. ბააზოვი, მ. დარბინიანი, გ. ბუხნიკაშვილი.

მ. დარბინიანი

სომხური დრამატურგიის შესახებ

სომხური ორიგინალური საბჭოთა დრამატურგიის წარმოშობა და განვითარება საქართველოში, კერძოდ, ტფილისში მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს ნაცუმცირესობათა მხატვრული ლიტერატურის განვითარებასთან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე პარტიამ და მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქციეს ნაციონალურ უმცირესობათა კულტურის განვითარებას, შექმნეს ყველა ხელსაყრელი პირობები მისი აღორძინებისათვის.

მთელი თავისი ხანგრძლივი არსებობის განმავლობაში სომხურმა თეატრმა პირველად დააღწია თავი სომხეთის ბურჟუაზიის ნასუფრალით ცხოვრებას და გახდა სახელმწიფო თეატრად, ე. ი. სახელმწიფო ორგანიზმის ერთ-ერთ სწორუფლებიან წევრად. მზრუნველობითმა ყურადღებამ ნაცუმცირესობათა კულტურულ ღირებულებათა და ძალთა მიმართ დიდი ბიძგი მისცა თეატრალური საქმისა და სომხური დრამატურგიის შექმნას.

რა გვაქვს ჩვენ დღეს?

ათ პიესამდე უკვე იდგმება და არა ნაკლებ 10—15 ხელთნაწერი პიესისა მზადდება დასადგმელად.

როცა ვლაპარაკობთ სომხურ დრამატურგიაზე საქართველოში, არ შეიძლება არ შევეხოთ სომხურ თეატრს, სომხურ სახელმწიფო დრამას.

თუ თეატრი წარმოადგენს დრამატურგიული ნაწარმოებთა „გამომცემელს", ამ „გამომცემელს" უნდა ჰქონდეს მტკიცე ფინანსიური ბაზა გამოცდილი ხელმძღვანელობით და გააჩნდეს ცოცხალი რესურსები.

დოტაცია, რომელსაც მთავრობა აძლევს სომხურ სახელმწიფო დრამას, საკმარისია აქტიორთა შემადგენლობის შესანახად და როგორც თეატრალური საქმის, ისე დრამატურგიის გასაშლელად. მაგრამ, ჩვენის აზრით, საქმის არასწორი დაყენება სომხურ სახელმწიფო დრამაში, ხშირად თეატრს მძიმე მდგომარეობაში აყენებს. დოტაცია, რომელსაც თეატრი მთავრობისაგან იღებს, არ ნაწილდება ისე, რომ გამოსწორებულ იქნეს ის გარღვევები, რომელთაც ადგილი აქვს.

თეატრის საკუთარი შენობის უქონლობა, რასაკვირველია, აფერხებს მუშაობის სწორ მსვლელობასა და განვითარებას, მაგრამ უბედურება მარტო ამაში როდია. სომხურმა სახელმწიფო დრამამ დღემდე ვერ შესძლო სწორი გზების გამოძებნა ტფილისის სომეხ მუშათა და საქართველოს მშრომელ გლეხთა ფართო მასების მომსახურეობისათვის.

ამ მხრივ საჭიროა მუშაობის ძირიანფესვიანად გარდაქმნა, ვინაიდან მარტო წარმოდგენებით რუსთაველის თეატრში (თვეში 4—5-ჯერ) არ გამართლდება თეატრის არსებობა. თეატრი გაცილებით მეტს ღებულობს მთავრობიდან, ვინემ მასებს აძლევს, აქ არ არის სწორი კალკულაცია. სომხურმა დრამამ უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა, მან მომსახურეობა უნდა გაუწიოს მუშათა კლუბებს, და პროვინციას. ის უნდა გახდეს მასობრივ თეატრად, უკუაგდოს თავისი „აკადემიური" სახელწოდება.

როდესაც აღვნიშნავთ სომხეთის დრამატურგიის მიღწევებს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჯერ ძალიან ცოტაა გაკეთებული. საჭიროა ძალთა და შესაძლებლობათა მობილიზაცია საკავშირო კონკურსის ჩასატარებლად

შ. დუდუჩავა

ქართული საბჭოთა დრამატურგია მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში

ქართულ საბჭოთა დრამატურგიის იდეურ მხატვრული ზრდა დღეს უდავო ფაქტია. ოდესღაც მშრალი უსიცოცხლო აგიტკით და ექსპრესიონისტული სქემატიზმის ეპიგონობით გატაცებული ქართული დრამატურგია დღეს ორგანიულად შეიჭრა სოციალისტურ მშენებლობაში და ამ მშენებლობის ყოველდღიურობაში აყენებს ღრმა პერსპექტიულ პრობლემებს, რომელიც არის შექმნილისა და შესაქმნელის საკითხთა ერთიანობა. მაგრამ ამისდა მიუხედავათ ძველი მსოფლშეგრძნების ინერცია და მით განსაზღვრული შემოქმედებითი მეთოდი თავს ამჟღავნებს ზოგიერთ დრამატურგის პროდუქციაში. ამით აიხსნება, რომ ზოგის გამონაკლისით ჩვენს დრამატურგებს ახასიათებს სქემატიზმი, დიქტატურობა და უსიცოცხლო აგიტკა.

კლასობრივი ბრძოლა ქართული დრამატურგიის ფრონტზე მეტის მეტად მწვავე ფორმას ღებულობს, კლასობრივი მტერი თავის პოზიციებს ამაგრებს მისტიციზმით, აბსტრაქტული სახეების შექმნით და ჩვენი სინამდვილის ვულგარულ-მეშჩანური ტრაქტოვკით.

ქართული დრამატურგიის მემარჯვენე ფრთამ არა ერთხელ სცადა გაეშალა თავისი შემოქმედება საბჭოთა თემატიკაზე; მაგრამ ეს ცდა მარცხით მთავრდებოდა; რადგანაც საბჭოთა თემატიკასთან ისინი მიდიოდნენ ძველი მსოფლმხედველობით და მისგან განსაზღვრული შემოქმედებითი მეთოდით. ამ მხრივ საყურადღებო ნიმუშს წარმოადგენს ცნობილი დრამატურგის ნ. შიუკაშვილის შემოქმედება—მისი „ამერიკელი ძია", და აგრეთვე „გასაბჭოებული ამერიკელი ძიაც". ორთავე შემთხვევაში ავტორმა მოგვცა მეშჩანობის სრული აპოლოგია და მან ვერ შესძლო გამოეხატა თავის პროდუქციაში ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ესა თუ ის მომენტი.

მემარჯვენე ბანაკში ცენტრალური ადგილი უჭირავს **გრიგოლ რობაქიძეს.** ოდესღაც დეკადენტური სიმვოლიზმით გატაცებულმა ლიტერატურაში; გრიგოლ რობაქიძემ მოახდინა თავისი შემოქმედებითი გზის ეგრედწოდებული ტრანსფორმაცია; მაგრამ ეს ტრანსფორმაცია გამოიხატა უმთავრესად იმაში, რომ გრ. რობაქიძემ თავის დრამატურგიულ პროდუქციაში ხელოვნურად აღადგინა გერმანული ექსპრესიონიზმის იდეოლოგია. „მალშტრემ"-ში რობაქიძე გვევლინება როგორც აპოლოგეტი ისეთ მსოფლმხედველობის, რომელსაც თითქოს სძაგს კაპიტალიზმი, მაგრამ ეშინია სოციალიზმის და რევოლუციის.

თუ „მალშტრემის" იდეოლოგია ძირითადში ექსპრესიონისტულია, რომელიც გაშლილია კულტურის და ცივილიზაციის **კონტრასტის** ფონზე, თავის „ლამარაში" რობაქიძემ უარყო ეს კონტრასტი და მიწასთან დაბრუნების იდეა მისტიციზმამდე აიყვანა.

„ლდეგა"-თი რობაქიძემ პირველად სცადა თავისი შემოქმედების გაშლა სოციალისტურ მშენებლობის თემატიკაზე, მაგრამ აქაც ავტორმა სასტიკი მარცხი განიცადა. სიმბოლიზმის და ექსპრესიონიზმის შემოქმედებით მეთოდმა თავისი გავლენა იქონიეს მასალაზე. ავტორმა აქ ადამიანთა ნაცვლად ავტომატიური სქემები მოგვცა. კოლექტიური შრომა მან როგორც უაზრო და მექანიკური რითმიულ მოთხრობად წარმოიდგინა. მან ვერ დაგვანახა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში შრომა სოციალურ პოლიტიკური ფაქტორია. წინააღმდეგობებთან ბრძოლა მან გმირულ სტიქიათა ნაჭუჭში მოაქცია. ამიტომაც გასაგები არის, რომ ცენტრალური თემატიური მომენტი საიდანაც უნდა გახსნილიყო პიესის კვანძი—არხის გაყვანა—მან პიესაში გამოიყვანა, როგორც ერთგვარი დეკორატიული ფონი; და არა საგნობრივი მომენტი პიესისა.

სრულიად ორიგინალური და საინტერესო მოვლენას წარმოადგენს ქართულ საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაში ცნობილ ოსტატის **შალვა დადიანის** შემოქმედება. ჯერ კიდევ რამოდენიმე ათეული წლის წინად დაწერილ პიესაში „გუშინდელნი" მან მოგვცა შედარებათა სალი შტრიხები, ცოცხალი ხაზები რევოლუციური ენერგიისა.

შ. დადიანმა—პირველმა ქართველ დრამატურგებში—სცადა მეტის-მეტად რთულ ჟანრის—კომედიის მოცემა. მან დასწერა პიესა „კაკალ გულში", მაგრამ უნდა ითქვას; რომ შ. დადიანის პიესის პირველი ვარიანტი (რომელიც დაიდგა თეატრში მარცხით დამთავრდა. შ. დადიანმა სავსებით სწორად დააყენა ამოცანა, რომ საბჭოთა აპარატს ზოგიერთ თავის მომენტებში ბიუროკრატიული გადამახინჯება ახასიათებს რომ ბრძოლა ამ გადამახინჯების წინააღმდეგ ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საბჭოთა მშენებლობაში. მაგრამ **ეს ნაწილი მან ისე განაზოგადა, რომ ის** (ეს ნაწილი), **გადააქცია მთელ სინამდვილედ.** შედეგად მივიღეთ; რომ ავტორის ტრაქტოვკით საბჭოთა აპარატი ძირითადში მახინჯია და საჭიროა მისი არა გაჯანსაღება არამედ სრული მოსპობა. ეს ტროცკისტული პროპაგანდაა საბჭოთა აპარატის. შემდეგში ჩვენ ვხედავთ, რომ შ. დადიანმა ეს შეცდომა თვითონვე შეიცნო.

ამავე ავტორს ეკუთვნის პირველი ცდა საბჭოთა ტრაგედიის შექმნისა. „თეთნულდი"-ს სახით.

რა არის ძირითადი თემატიური პრობლემა „თეთნულდ"-ში? სვანეთის პატრიარქალური ნატურალური მეურნეობა სოციალისტური მრეწველობის გარემოცვაში. შეუძლებელია სოციალიზმის მშენებლობა ერთ ქვეყანაში თუ ამ ქვეყნის ზოგიერთ მხარეში არსებული ნატურალური მეურნეობა ადგილიდან არ დაიძრა, სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკის მეთოდები, საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო პოლიტიკა ჰქმნის ყოველგვარ შესაძლებლობას, რომ პატრიარქ. წყობილებამ მიიღოს ისეთი კანონზომიერი განვითარება, რომ უშუალოდ გადაიდგეს სოციალისტური მეურნეობის ლიანდაგზე. ძველი სვანეთი—ბაპების და არგიშდის სვანეთი პატრიარქალური წყობილების და აქედან გამომდინარე ზნეჩვეულებათა სრული განსახიერებაა. აქედან: ლიკვიდაცია ამ ჩვეულებების და მეურნეობის პატრიარქალური ფორმების საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ნიშნავს სოციალისტური მშენებლობისათვის უშუალოდ გზის გაწმენდას. ამრიგად: ნატურალური მეურნეობა სოციალისტური მშენებლობის გარემოცვაში—აი ძირითადი პრობლემა „თეთნულდში". ეს უსათუოდ პოლიტიკურად საკითხის სწორი დაყენებაა. ამდენად ავტორი პოლიტიკურად სწორ ნიადაგზე დგას, სწორ ნიადგზე, იმდენად რამდენად მან შესაძლებლად მიიჩნია ნატურალური მეურნეობის ლიკვიდაცია სოც. მშენებლობის გარემოცვის პირობებში. მაგრამ როგორია ის საშუალებები, რომლითაც შ. დადიანმა ეს ძირითადი პრობლემა გადასწყვიტა უნდა ითქვას, რომ აქ ავტორმა ვერ გამოიჩინა სათანადო პოლიტიკური სიმახვილე, რომელიც მან უთუოდ გამოამჟღავნა საკითხის დაყენებისას. სოციალისტური გარემოცვა სრულიად არ ნიშნავს, რომ თვით ბაპების სვანეთში არ იყოს სოციალიზმის ელემენტები. ფაქტი საბჭოთა ხელისუფლების არსებობისა სვანეთში ლაპარაკობს იმას, რომ იქ სოციალიზმის პოლიტიკური წინამძღვრები არის მოცემული, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური და კულტურული პოლიტიკა ლაპარაკობს სოციალიზმის ეკონომიურ წინამძღვრებზედაც, ამრიგად სვანეთში სოციალიზმი მოცემულია როგორც შესაძლებლობა, ხოლო შესაძლებლობის სინამდვილეთ ქცევა ნიშნავს **ურთიერთ შეჭრას შესაძლებლობის და მოცემულ სინამდვილის,** რის შედეგად უნდა მივიღოთ მოცემული სინამდვილის (ბაპები სვანეთის) მოხსნა და ნამდვილი სინამდვილის შექმნა, ე. ი. შესაძლებლობის სინამდვილეთ ქცევა მაგრამ როგორი არის თვითონ ამ პროცესის კანონზომიერება შესაძლებელი? როგორც სოციალისტური გარემოცვის აქტივობით, ისე იმ შინაგანი სოციალისტური ძალების ამოძრავებით, რომლებიც ამ გარემოცვასთან ორგანიულად არიან დაკავშირებულნი, ეს ნიშნავს შემდეგს: „თეთნულდში" გელახსანთან ერთად ძირითადი აქტიური მებრძოლი ძველი სვანეთის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლება ალმასკომის სახით, პარტიის ხელმძღვანელობით და კომკავშირის დახმარებით. რა გვაქვს ჩვენ პიესაში? გელახსანი იბრძვის: მან უნდა დაიპყროს თეთნულდის მთა, რომ ჩამოაცილოს მას მისტიური სამოსი. „თეთნულდი" წმიდაა, თეთნულდი ხელუხებია, თეთნულდი მამა-პაპათა ჩვეულებათა სიმბოლოა—ამ შეხედულებით) არგიშდი და ბაპები ებრძვიან მცახსანს. კომკავშირული ახალგაზრდობა, ალმასკომი ამ ბრძოლის პროცესში უბრალო სქემებად არიან გამოყვანილი, რის გამოც გელახსანის მოღვაწეობა მეთვრამეტე საუკუნის „განმანათლებლის" მოღვაწეობას მოგვაგონებს; და ამდენად სოციალისტური მშენებლობისათვის ბრძოლის მომენტი მექანიკურად შეკოწწებული გამოდის მთელს პიესაში. მეორე: ინგრევა არგიშდის ოჯახი, მირზის ბექირბი გელახსანთან, გაიქცნენ სოთრან და გურანდა. ძველი სვანეთის შინაგანი რღვევის ჩვენება აუცილებლად სწორია, ძველი სვანეთი არ არის როგორც დამოუკიდებელი პოლუსი, რომელთანაც დაპირისპირებულია ახალი სვანეთი. ახალი სვანეთის ელემენტები ძველ სვანეთშია მოცემული, ხოლო ამ ელემენტების სისტემატიზაცია ნიშნავს ძველი სვანეთის მოხსნას. ასეთია დიალექტიური თვალსაზრისი, ამას მოითხოვს სოციალისტური რეალიზმის მეთოდი ისტორიულ წარსულის და თანამედროვეობის პრობლემების გარკვევის დროსაც. ამდენად სრულიად სწორია **ფორმალურად** ბექირბის გაქცევის ცდა და ფაქტი სოთრან გურანდას გაქცევისა; მაგრამ როგორია **საგნობრივი** მოტივირება სოთრან გურანდას გაქცევისა—მხოლოდ სიყვარული და მეტი არაფერი. ასე, რომ გელახსანიც რომ არ ყოფილიყო, თეთნულდის დაპყრობის იდეაც რომ არ არსებულიყო, გურანდა და სოთრანი მაინც გაიქცეოდნენ. ამდენად საგნობრივად მათი გაქცევა სპექტაკლის ძირითადის პრობლემის თვალსაზრისით გამართლებული არ არის. გელახსანი დამარცხდა თეთნულდზე ასვლისას. ეს იმას ნიშნავს, რომ გზა ძველი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლისა მოითხოვს მსხვერპლს, თუ გელახსანს დიდი იდეა ასაულდგმულებდა, ჩვენ სულ სხვა სურათს ვხედავთ, როდესაც გელახსანს შესცვლის ლახილ. ლახილს არავითარი სოციალისტური იდეა არ ასულდგმულებს, თეთნულდზე ასვლისას ის მხოლოდ **შურისძიებით** ხელმძღვანელობს.

საინტერესო ევოლუცია განვლო დრამატურგმა **ს. შანშიაშვილმა.** შანშიაშვილის შემოქმედებითი გზა ძირითადში წინააღმდეგობათა ეტაპებით ხასიათდება. როგორც თავის პოეზიაში, ისე დრამატურგიულ შემოქმედების პირველ პერიოდში შანშიაშვილი გამოხატავს წვრილ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის სულისკვეთებას, იმ ინტელიგენციის, რომელიც ჩუმი პროტესტით გამოდიოდა იმპერიალიზმის და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ რომელსაც რეაქციის გაბატონებით დაეკარგა პერსპექტივა და შეიპყრო პესიმიზმმა. აქედან მისტიციზმი და აბსტრაქტური სიმბოლიზმი. თავის თემატიკას შანშიაშვილი ამ პერიოდში განსაზღვრავს სიკვდილ - სიცოცხლის პრობლემით. მის შემოქმედებაში ცენტრალურ ადგილს იკავებს ადამიანის ტრაგედია („ბერდოზმანია", „ლატავრა"). ის ეძებს ზეკაცს, რომელმაც უნდა დაამყაროს „მზის სამეფო", რომ შესძლოს „ხალხის წალკოტში დამკვიდრება". ავტორისათვის ადამიანი არ არის კლასობრივი კატეგორია. ბოროტებასა და სიკეთეს, ბედნიერებას და უბედურებას ის განსაზღვრავს როგორც ბიოლოგიურად თანდაყოლილ თვისებას ადამიანისა. ამიტომაც ტიპაჟის კონსტრუქცია მეტაფიზიკური სქემებით განისაზღვრება. ხოლო დრამატურგიულ კონფლიქტის განმსაზღვრელი ფაქტორი კი ბედი და მისტიკაა. აქ ს. შანშიაშვილი სიმბოლიზმის იდეალისტურ ტყვეობაში იმყოფება, რითაც უნდა აიხსნას მისი შემოქმედების გაშლა ფსიქოლოგიზმზე, რომელიც, ეყრდნობა რა ქვეცნობიერობის პრიმატს ადამიანის ფსიქიკაში, გადადის მისტიციზმში. სიმბოლისტურ დრამატურგიასთან ერთად ს. შანშიაშვილი ცნობილია აგრეთვე როგორც ავტორი ისტორიულ დრამების („უგვირგვინო მეფენი", „როდამ" და სხვ.). აქ ავტორი აღადგენს წარსულის რომანტიკას ძველი საქართველოს თავისებური იდეალიზაციით.

რევოლუციამ არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ს. შანშიაშვილზე, როგორც დრამატურგის ერთ უნიჭიერეს ოსტატზე. თავის „სპარტაკით" ის ემშვიდობება პატრიოტულ რომანტიკას და რევოლუციურ წარსულს გულწრფელობით აღადგენს. „სპარტაკი" შანშიაშვილის შემოქმედებაში თავისებური გარდამავალ პერიოდს წარმოადგენს მისტიციზმისა და ნაციონალიზმიდან დიდ სოციალურ თემატიკისაკენ.

თეატრი მასების პოლიტიკური აღზრდის ძლიერი საშუალებაა. დრამატურგმა უნდა ასახოს და გამოსახოს ის გმირული ბრძოლა, რომელსაც აწარმოებს პროლეტარიატი ახალი ქვეყნის შესაქმნელად და ჩვენ ვხედავთ, რომ შანშიაშვილი ნელის, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით გადადის საბჭოთა თემატიკაზე. პირველ ხანებში მან ნაწილობრივ მარცხი განიცადა („პროტესტი", „მათრახის პანაშვიდი"). მაგრამ თავისი „ანზორით" და „სამნი"-ით შანშიაშვილმა დაამტკიცა, რომ ის მტკიცედ დგას რევოლუციის ნიადაგზე, რითაც მას შექმნა უთუოდ ნიჭიერი საბჭოთა დრამატურგის რეპუტაცია. „სამნი"-ს სიუჟეტი აგებულია ამიერკავკასიის ხალხთა სოლიდარობის იდეის ფონზე. ერთის მხრივ — ნაციონალისტური და შოვინისტური ბრძოლა გაბატონებული კლასებისა და მათი მთავრობებისა, მეორეს მხრივ — მშრომელთა მასების ნაციონალური სოლიდარობა. აქ შანშიაშვილი ბრძოლას უცხადებს ნაციონალიზმს და განსაკუთრებული სიძლიერით აშიშვლებს მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელთა პოლიტიკის უხეში რეაქციონურ ხასიათს და ზოოლოგიურ ნაციონალიზმს. ფაბულის სათანადო ორგანიზაციისას ავტორი ზოგიერთ მომენტში ვერ სძლევს სქემატიზმს და მასალის ქაოტიურობას. მაგრამ ის ფაქტი, რომ შანშიაშვილმა პირველმა სცადა მშრომელთა ფენების ნაციონალური სოლიდარობის გამოსახვა მეტყველია იმისი, რომ ავტორი სწორად მიუდგა იმ პრობლემებს, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მრავალეროვნებიან ამიერკავკასიაში.

სერიოზული კომედიური ჟანრის შექმნა ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში უთუოდ ეკუთვნის დრამატურგ **პოლიკარპე კაკაბაძეს.** მისი „ყვარყვარე თუთაბერი" მნიშვნელოვანი მიღწევაა საბჭოთა დრამატურგიულ ოსტატობის. მთელი სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ავტორმა დიდი სიმახვილით გვიჩვენა ის მდგომარეობა, რაიც საჭიროა იმისათვის, რომ ნაცარქექიასთანა ტიპები გახდნენ გმირებად. კომედიურ ფორმებში ავტორმა ამხილა მეფის რეჟიმის აპარატის სრული უაზრობა და აბსოლუტური ბიუროკრატიზმი. პიესა აშიშვლებს მენშევიკური „დემოკრატიის" შინაგან უძლურებას, უპრინციპობას. უკანასკნელ მოქმედებაში ავტორი ეხება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ პერიოდს. ფაქტიურად ავტორი იძლევა ნიღაბებს და ცდილობს გამოამჟღავნოს მომქმედთა ხასიათები. იმისდა მიუხედავათ, რომ სოციალური პრობლემები იქ ღრმა პოლიტიკურად არ არის გამახვილებული, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ „ყვარყვარე თუთაბერის" ავტორმა საკმაოდ სწორად მოხაზა ის გზები, საითაც უნდა წავიდეს საბჭოთა კომედიის განვითარება.

„ბახტრიონში" ავტორი უკვე ფლობს სოციალისტური რეალიზმის მეთოდს და ნაყოფიერად იყენებს ამ მეთოდს ისტორიულ მასალაზე.

დრამატურგმა **პეტრე სამსონიძემ** თავისი პირველი პიესით „სალტეთი" გამოამჟღავნა ყველა ის დიდი შესაძლებლობა, რომელიც არსებობს სოფლის თემატიკის საკითხებში. თავის პიესის კომპოზიციას, სურათის ფონს განსაზღვრავს კოლმეურნეობის ორგანიზაციის სიძნელეებით — შრომის საკითხებმ, კომკავშირის როლი სოფლად, საშუალო გლეხის მერყევი ბუნება. ავტორი იძლევა ბრძოლას კოლმეურნეობისათვის. ყოველგვარი სქემების გარეშე ცდილობს მოგვცეს გლეხთა დიფერენციაციის სწორი სურათი და გამოამჟღავნოს გლეხთა განწყობილებანი, მათი ურთიერთობა კოლმეურნეობასთან პერსონაჟების მოქმედებაში.

„სალტე" ზოგიერთ თავის მომენტში ვერ არის განთავისუფლებული შტამპისაგან, რის შექმნაში უთუოდ თავის როლს თამაშობს სიტყვიერი მასალის არა საკმაოდ დიდი ლიტერატურული ღირსება.

სოფლის თემატიკაზე არის აგებული აგრეთვე დრამატურგ **ალიო მაშაშვილის** პიესა „განგაში". მთელ რიგ დადებით მომენტებთან ერთად მაშაშვილის პიესას ახასიათებს ეგრედწოდებული „ლევაკური" განხრა და ტიპაჟის სქემატიურობა. განსაკუთრებული სიძლიერით სჩანდა ეს ნაკლი პიესის პირველ ვარიანტში, რომლის შემდეგ პიესაში თვით ავტორმა შეიტანა სათანადო ცვლილება.

დრამატურგმა კ. კალაძემ თავის შემოქმედება დაიწყო ექსპერსიონისტული ტექნიკის ეპიგონობით („ტრაგედია ოხ"). ამით კ. კალაძემ თავის შემოქმედების პერსონაჟები მოაქცია სქემებში და მათ მოქმედებას დაუკარგა ფსიქოლოგიური მოტივაცია. მაგრამ თავის პიესაში „როგორ" კალაძემ გამოიჩინა არა მარტო ისტორიული მასალის სათანადოთ ცოდნა, აგრეთვე დრამატურგიული ტექნიკის საკმაოდ ძლიერად შესწავლა. უფრო ძლიერი არის მისი მეორე დრამა „ხატიჯე". თავისი დრამის კოლიზია მან ააგო მეტისმეტად რთულ და წინააღმდეგობებით სავსე მასალაზე.

თავის უკანასკნელ პიესაში „სახლი მტკვრის პირას" კ. კალაძემ სასტიკი მარცხი განიცადა. მან მოიწადინა შექმნა კომედია, გამოემჟღავნებია თავისი სატრისტული დამოკიდებულება ინტელიგენციის კონსერვატორული ნაწილის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ავტორმა ვერ შესძლო, რამდენად მან განაზოგადა უარყოფითი ელემენტები მთელს ჰუმანიტარულ ინტელიგენციაზე და ჩაიდინა ის პოლიტიკური შეცდომა, რაც ახასიათებს ამავე თემაზე აგებულ კინო სურათს „ხაბარდას".

საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს ჩვენს დრამატურგიაში **გერცელ ბააზოვის** შემოქმედება. თავისი დებიუტით საბჭოთა დრამატურგიის ფრონტზე, პიესით **„მუნჯები ალაპარაკდენ"**, ავტორმა უკვე საკმაოდ ნათლათ გამოამჟღავნა პრობლემათა პოლიტიკური სიმახვილით დაყენება და დრამატურგიული კანონზომიერების ცოდნა. „მუნჯები ალაპარაკდენ" ლახვარს ხცემს იმ ლეგენდას, თითქოს ქართველი მშრომელი ებრაელობა მოკლებული იყოს შემოქმედებითი შრომის უნარს, რომ ის ბიოლოგიური თანდაყოლილობით ჩარჩი მეწვრილმანეა. ავტორმა შესძლო მოეცა ებრაელობის ნამდვილი სურათი, ის მწვავე კლასობრივი ბრძოლა, რომელიც წარმოებს ებრაელებში, ის თითქმის ბატონყმური მდგომარეობა, რომელშიც აყენებდა ღარიბ მეწვრილმანე ებრაელს მსხვილი ვაჭარი სინაგოგის დახმარებით.

კომედიაზე მუშაობს დრამატურგი გუგული **ბუხნიკაშვილი.** ის უმთავრესად მსუბუქი ჟანრის ოსტატი არის. ამ მხრივ მისი შემოქმედებითი პრაქტიკა დიდ სამსახურს უწევს ჩვენს სოფლის თეატრებს. თითქმის არ არის არც ერთი პოლიტიკური საკითხი, რომელსაც ავტორი არ შეხებოდეს. მსუბუქ ჟანრზე მუშაობა რთული ამოცანაა. ეს აიხსნება სწორედ იმით, რომ მსუბუქი ჟანრის—განსაკუთრებით კომედიის — მეთოდოლოგია ჯერ კიდევ შემუშავებული არ არის, რასაც უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ კომედიის ბევრმა ავტორმა მარცხი განიცადა. გ. ბუხნიკაშვილი ბოლო დროს ხელს კიდებს დიდ ტილოების შექმნასაც („მთები ინგრევა").

ნაკლები ყურადღება ექცევა საბავშო დრამატურგიას. მხოლოდ ერთადერთი დრამატურგი **ს. მთვარაძე** ემსახურება ჩვენი მოზარდ თაობის თეატრს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საბავშო დრამატურგიამ უნდა დაიკავოს თავისი ადგილი ჩვენს ლიტერატურაში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მუშა ავტორის **იაშვილის** პიესა „მოხუცი ენტუზიასტი". უთუოდ ამ პიესას ახასიათებს სიუჟეტის გულუბრყვილო ორგანიზაცია და არა მოტივირებული მოქმედებანი. მაგრამ თავისი პიესით იაშვილმა გამოამჟღავნა, რომ მას აქვს უნარი რევოლუციურ მოძრაობის მასალებზე მუშაობისა. მხოლოდ საჭირო არის მას, როგორც ლიტერატურაში გაწვეულ დამკვრელ მუშას, მიექცეს სათანადო ყურადღება ჩვენი ლიტერატურული ორგანიზაციიდან.

ქართული საბჭოთა დრამატურგია დღეს უდიდესი ამოცანების წინაშე დგას. პარტიამ და ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეს დრამატურგებისა და დრამატურგიის მიმართ. ის ფაქტი, რომ დრამატურგია წამყვანი ფაქტორი უნდა გახდეს თეატრში, ნათელყოფს იმ დიდ მნიშვნელობას და ღირებულებას, რაიც დრამატურგიას ენიჭება. აქედან — განსაკუთრებული პასუხისმგებლობა პარტიისა და ხელისუფლების წინაშე დრამატურგების მხრივ.

ჩვენი ქვეყანა მეორე ხუთწლედის დიადი გეგმების განხორციელების პროცესში იმყოფება, უკლასო სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაცია ხვდება მთელ რიგ წინააღმდეგობებს. კლასთა ბრძოლა დღეს განსაკუთრებულ მწვავე ფორმებსა და ხასიათს ღებულობს. კლასობრივი ბრძოლის ჩვენება, ნიღაბაფარებული კლასობრივი მტრის გაშიშვლება ძირითადი ხაზი უნდა იყოს, რომელზედაც უნდა გაიშალოს დრამატურგიული შემოქმედება. მეორე ხუთწლედი, ეს არის ხუთწლედი კაპიტალიზმის ელემენტების მოსპობისა არა მარტო ქვეყნის ეკონომიკაში, არამედ ადამიანთა შეგნებაშიც. როგორი არის ის გზები, სადაც თავს ამჟღავნებს კაპიტალისტური ინერცია ადამიანის ფსიქიკაში და როგორია ის საშუალება, რომლითაც ეს ელემენტები უნდა მოისპოს, — აი ძირითადად რამ უნდა განსაზღვროს ჩვენი დრამატურგების თემატიკა.

ახლა გამოცხადებულ კონკურსს დრამატურგებმა უნდა უპასუხონ აქტიურობით და შემოქმედებით. სოციალისტური ყოველდღიურობაში აქტიური მონაწილეობის მიღება და ამ ყოველდღიურობაში ღრმა პერსპექტიული პრობლემების დასახვა. — აი ის რაც მისცემს ჩვენს დრამატურგებს საშუალებას მოსპონ ერთის მხრივ დისპროპორცია თეატრსა და თავის შემოქმედებას შორის და მისცენ სოციალისტურ თეატრს მონუმენტალური პიესა, პიესა, რომელიც ლაპარაკობს ახალი ადამიანის დაბადების შესახებ უკლასო სოციალისტური საზოგადოების შექმნის პროცესში.

მეცნიერების ახალი კერა

ჩვენში, შესაძლებელია, ბევრი არც კი იცნობს საბჭოთა მეცნიერების ერთ-ერთ ახალ კერას—აბასთუმანის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას. პრობლემათა მთელი რიგი, რომელნიც სოციალისტურმა ეკონომიკამ დასვა საბჭოთა მეცნიერების წინაშე, გარკვეულად მოითხოვდა საბჭოთა კავშირში მძლავრი სამთო ობსერვატორიის შექმნას.



აბასთუმანის ობსერვატორიის კოშკი

ამ მიზნით ლენინგრადის ასტრონომიულმა ინსტიტუტმა დაიწყო სათანადო საკვლევაძიებო მუშაობა ობსერვატორიის ისეთი ადგილმდებარეობის შესარჩევად, რომელიც ყველაზე უფრო უკეთ დააკმაყოფილებდა სამთო ობსერვატორიისათვის აუცილებელ პირობებს.

მოკლედ ეს პირობები ასეთია:

1. ატმოსფეროს შედარებითი სისუფთავე და, მაშასადამე, კარგი გამჭვირვალობა;
2. ატმოსფეროს შედარებითი სიწყნარე;
3. საერთოდ ისეთი ატმოსფერული პირობები, რომ სამუშაო დღეთა რიცხვი იყოს მაქსიმალური (ე. ი. ღრუბლიანობის სიმცირე);
4. ზღვის დონედან საკმაო სიმაღლე და
5. რკინის გზის საკმაო სიახლოვე.

ჩამოთვლილი პირობები, ერთი მხრივ, აუცილებელია ზუსტ ასტრონომიულ დაკვირვებათათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ობსერვატორიის მაღალი შრომის უნარიანობისათვის.

ყველა ამ და კიდევ სხვა სპეციალურ საკითხების ნათელსაყოფად ლენინგრადის ასტრონომიულ ინსტიტუტის მიერ მოწყობილ იქნა სათანადო ექსპედიციები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში მათ შორის საქართველოში და კერძოთ ბორჯომ-ბაკურიანის, აბასთუმანის და შუამთის (კახეთი) რაიონებში.

ექსპედიციების მუშაობის შეჯამებამ და განხილვამ ნათელყო, რომ შედარებით ყველაზე ხელსაყრელი პირობები სამთო ობსერვატორიის ადგილმდებარეობისათვის არა თუ მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირშიაც კი—აბასთუმანში მოიპოვება. ზღვის დონედან საკმაო სიმაღლე (1300 მეტრზე მეტი), შედარებით მშვიდი და წყნარი ატმოსფერო, საკმაო ნელი და თანაბარი წლიური ტემპერატურული რყევა, თანაბარი წლიური ღრუბლიანობა, ატმოსფეროს გამჭვირვალობის მაღალი ხარისხი და კიდევ სხვა მრავალი საუკეთესო თვისებაა. აღსანიშნავია ისიც, რომ აბასთუმანი საუკეთესო სამკურნალო კურორტია. ყოველივე ეს საფუძვლად დაედო აბასთუმანში სამთო ობსერვატორიის შექმნის საქმეს. მისი პრაქტიკული განხორციელება 1932 წელში დაიწყო. საქ. პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ლენინგრადის ასტრონომიულ ინსტიტუტის და მის ხელმძღვანელ მეცნიერულ მუშაკთა დახმარებით, (არ. ნუმეროვი, არ. ნატანსონი, არ. ცესევიჩი, მარკოვი და სხვები) და აგრეთვე ობსერვატორიის დირექტორ ამხ. ე. ხარაძის ენერგიული მუშაობით **დღეს აბასთუმანში უკვე გვაქვს ისეთი ასტრონომიული წერტი, სადაც შეიძლება არა თუ მარტო ღრმა და დეტალური გამოკვლევების წარმოება ასტრონომიულ დაკვირვებათა ხარისხის შესახებ, არამედ აქტუალური სპეციალური მეცნიერული საკითხების დამუშავებაც.**

ობსერვატორიას აქვს კოშკი, რომელშიაც დგას 13 დიუმიანი რეფლექტორი, (დამზადებულია საბჭოთა კავშირში), რამოდენიმე რეფრაქტორი, აქტინომეტრიული ხელსაწყოები, საკუთარი ფოტოგრაფიული და სპექტროგრაფიული ლაბორატორია, სამკითხველო, ბინა სამეცნიერო თანამშრომელთათვის და სხვა.

ამჟამად ობსერვატორიაში მიმდინარეობს ზეციურ მნათობთა ფოტოგრაფია და სპექტროგრაფია, ცვალებად ვარსკვლავთა შესწავლა, აქტინომეტრიული დაკვირვებანი, სასწავლო-საგარჯიშო მუშაობა, სემინარული მუშაობა და სხვა სპეციალურ სახის დაკვირვებანი, რომელთა მიზანია აბასთუმანის მდებარეობის აღნიშნულ თვისებათა კიდევ უფრო მეტად დაზუსტება და დამუშავება.

ამ ზაფხულს (აგვისტოში) ობსერვატორია მიიღებს დიდ 16 დიუმიან რეფრაქტორს და სპექტროგრაფს, რითაც ის საგამოკვლევო შესაძლებლობის მხრივ მეორე ადგილს დაიჭერს საბჭოთა კავშირში.

მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ დასაწყისია.

ახლო მომავალში განზრახულია მთელი რიგი შენებლობანი, მათ შორის ახალი კოშკი.

გარდა ამისა განზრახულია ახალი იარაღების შექმნა, მათ შორის 60 დიუმიანი რეფლექტორის, რომელიც მთლიანად დამზადებული იქნება საბჭოთა კავშირში. ყველაფერი ეს ობსერვატორიისათვის მეტად საჭიროა, რომ ის მზად შეხვდეს მზის დაბნელებას 1936 წელში.

მხოლოდ მაშინ შესძლებს ობსერვატორია მიიღოს ის უცხოელი სამეცნიერო ექსპედიციები, რომლებიც საბჭოთა კავშირს ესტუმრებიან მზის დაბნელების დროს სათანადო კვლევა-ძიების ჩასატარებლად, რადგან დაბნელების სრული ფაზა საბჭოთა კავშირის მხოლოდ სამხრეთ ნაწილში გამოჩნდება.

ამ მხრივ 1936 წელი აბასთუმანის ობსერვატორიისათვის დიდ გამოცდას წარმოადგენს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ობსერვატორიის დიდი მნიშვნელობა საზოგადოებრივ-კულტურული ხაზით.

ასტროფიზიკური ობსერვატორია უნდა გახდეს ჩვენს სინამდვილეში ანტირელიგიურ პროპაგანდის ბურჯად. ამ მხრივ საქართველოს მებრძოლ - უღმერთოთა საზოგადოებას ახალი შესაძლებლობანი ეხსნება. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ პარტიის და ხელისუფლების ხელმძღვანელობით აბასთუმანის ობსერვატორია ბრწყინვალედ დასძლევს თავის ზრდის სიძნელეებს და პირნათლად გაუწევს სამსახურს სოციალისტურ მშენებლობას მეცნიერულ და სამეურნეო ფრონტზე.

აბასთუმანის ობსერვატორიის 13 დიუმიანი რეფლექტორი

შალვა გორდელაძე.

რატომ ქრება სინათლე

ტელასის განმარტება

ზაჰესი, ტფილისისათვის ელექტრო-ენერგიის მიმწოდებელი წყარო, მაქსიმალური დატვირთვით მუშაობს. დღე-ღამის განმავლობაში, ნორმალურად მუშაობის დროს, ზაჰესი უნდა გვაძლევდეს 12.800 კილოვატ ელექტრო-ენერგიას, მაგრამ რადგან ასეთი რაოდენობის ენერგიით შეუძლებელი იქნებოდა ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება — სურამის ელექტროფიცირებული უბნის კვება, კასპის ცემენტის ქარხნის ენერგიით უზრუნველყოფა, ტფილისის საწარმოების და მთლიანად ქალაქის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, — ამიტომ ზაჰესს ამუშავებენ მაქსიმალური დატვირთვით და დღე-ღამის განმავლობაში ღებულობენ 15.000 კილოვატს.

დღის განმავლობაში ზაჰესის ენერგია სავსებით საკმარისია ყველა მოთხოვნილებისათვის, მაგრამ დაბრკოლებები იწყება საღამოთი. განსაკუთრებით დაძაბული მდგომარეობაა საღამოს 8 საათიდან ღამის 11 საათამდე. ამ ხნის განმავლობაში ზაჰესის დასახმარებლად საჭირო ხდება ტფილისში მარაგად დარჩენილი თბო-ელექტრო სადგურის ამუშავება.

საღამოობით ქალაქის ქსელში მუდმივ მორიგეობენ ე. წ. საავარიო ჯგუფები. მათ დავალებული აქვთ, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ზაჰესის რომელიმე ტურბინის მუშაობა დაბრკოლდება, ან ენერგია აღარ იქნება საკმაო, აბონენტები ამორთან ზაჰესის ხაზიდან და შეუერთონ ერთ-ერთი თბოსადგურის ხაზს. ასეთ შემთხვევებში სინათლე ქრება 5—10 წუთით. შემდეგ, როცა ზაჰესი კვლავ განთავისუფლდება დიდი დატვირთვისაგან, აბონენტებს ამორთავენ თბო-სადგურიდან (თბო-სადგურის ენერგია ძვირი ჯდება) და ხელახლა შეუერთებენ ზაჰესს. ამ შემთხვევაშიაც სინათლე ქრება არა უმეტეს 5—10 წუთისა.

განსაკუთრებული გაჭირვების დროს, როცა ენერგიაზე მოთხოვნილება მეტად დიდია, ტელასი იძულებული ხდება ნახევარი საათით და ზოგჯერ ერთი საათითაც ამა თუ იმ ხაზზე შეუწყვიტოს ენერგიის მიწოდება და განთავისუფლებული ენერგია საჭიროებისამებრ გამოიყენოს. მაგრამ ასეთი შემთხვევები შედარებით იშვიათია. საერთოდ, აბონენტების ამორთვა ხაზიდან — ის უკიდურესი ღონისძიებაა, რომელსაც ტელასი მიმართავს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

რიონჰესის ამუშავებისა და ზაჰესის გაფართოების შემდეგ აბონენტებისათვის სინათლის მიწოდება დაუბრკოლებლივ იწარმოებს.

სად უნდა მიიღონ მოქალაქეებმა პასპორტი

იმ მიზნით, რომ მოსახლეობას გაუადვილდეს პასპორტების მიღება, ქალაქ ტფილისსა და მის რაიონებში, მუშურ-გლეხური მილიციის თითოეული განყოფილების ტერიტორიაზე ეწყობა დროებითი საპასპორტო პუნქტები შემდეგ ადგილებზე:

1. ლენინის რაიონის მუშურ-გლეხ. მილიციის სამმართველოს მოქმედების ფარგლებში:

პუნქტი № 1—საბჭოთა ქუჩის ბოლოში—საფაბრიკო-საქარხნო სკოლის შენობა. ეს პუნქტი მომსახურებას გაუწევს მოსახლეობას ღრმა-ღელედან ლეჩხუმის ქუჩამდე ყველა ახლო მდებარე ქუჩების და შესახვევების ჩართვით.

პუნქტი № 2—ლოტკინის ქუჩა № 36, მე-32 შრომის სკოლის შენობა. მომსახურებას გაუწევს მოსახლეობას ლოტკინის ქუჩიდან სამხრეთის მხრიდან მდებარე ყველა ქუჩების და შესახვევების ჩართვით იურიევის ქუჩამდე.

პუნქტი № 1—საბჭოთა ქუჩა № 100, რაიკლუბი. მომსახურებას გაუწევს მოსახლეობას იურიევის ქუჩიდან ლოტკინის ქუჩის ბოლომდე, ყველა ახლო მდებარე ქუჩების და შესახვევების ჩართვით.

პუნქტი № 4—საბჭოთა ქუჩა № 100, რაისაბჭოს შენობა. მომსახურებას გაუწევს მოსახლეობას იურიევის ქუჩიდან სტავროპოლის ქუჩამდე ყველა ახლო მდებარე ქუჩების და შესახვევების ჩართვით ხუდადოვის ტყემდე.

პუნქტი № 5—საბჭოთა ქუჩა № 115, მე-68 შრომის სკოლის შენობა. მომსახურებას გაუწევს პავლოვის, სუნჯის, ვლადიმირის, ეგოროვის, ყუბანის, გროზნოს; ყარსის, ტემრიუკის, მსროლელთა და განაპირა ქუჩების მოსახლეობას ყველა ახლო მდებარე შესახვევების ჩართვით.

პუნქტი № 6—სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობა—მომსახურებას გაუწევს შრომის, უფლისციხის, ნორიოს, ალმართის, ლამის, მნათობის, თამარშენის; კაკლიანის; გოგიეთის; კრამიტის, ანტონოვის, 9 იანვრის საბჭოთა (59-დან 81-დე) და ალაგირის ქუჩების მოსახლეობას ყველა ახლო მდებარე შესახვევების ჩართვით.

ლენინის რაიონის მუშურ-გლეხური მილიციის 1-ლი განყოფილება

პუნქტი № 7—გოგოლის ქუჩა № 60. რაიპროფკავშირის წითელი კუთხე. მომსახურებას გაუწევს მოსახლეობას ანდრეევის ქუჩის მარჯვენა მხარის № 1-დან 83-მდე, მილიუტინის ქუჩა № 13-დან 15-მდე და 8-დან 20-მდე, ბატარეის ქუჩას, ანდრეევის ქუჩას, ევდოშვილის ქუჩას 8-დან 14-მდე და 7-დან 15-მდე, მალაკნის ქუჩას მთლიანად, საბჭოთა ქუჩას 38-დან 96-მდე, გოგოლის ქუჩას 101-დან, კირკის ქუჩას, საბჭოთა ქუჩას კუთხიდან ბოლომდე.

№ 8. ორჯონიკიძის ქუჩა № 121. საჰაერო თავდაცვის სამმართველო. მომსახურებას გაუწევს ანდრეევის ქუჩას 83-დან ბოლომდე, ცემის ქუჩას 3-დან 7-მდე და 24-დან 32-მდე, ოზურგეთის ქუჩას 2-დან 8-მდე, ტრამვაის ქ. 3—5-მდე, შერემეტევის ქუჩას 58-დან 60-მდე გორის ქუჩას 21-დან 27-მდე და 24-დან 32-მდე, ბათომის ქუჩას 2-დან 8-მდე.

პუნქტი № 9—მილიციის განყოფილების სადგომი, საბაღოს ქ. № 6. მომსახურებას გაუწევს ვაგზლის ქუჩას 26-დან 34-მდე, სართანიას ქ. № 6-დან 14-მდე და 7-დან 5-მდე, საბაღოს ქ. ყველა ახლო მდებარე შესახვევებით და მალაკნის ქუჩას სართანიას ქ. კუთხიდან.

პუნქტი № 10—სარემონტო ქარხნის ტერიტორიაზე. მომსახურებას გაუწევს რკინის გზის სახლებში მცხოვრებ მოსახლეობას.

პუნქტი № 11—პლეხანოვის პროსპ. № 150—ამიერ-კავკასიის ჰიდრო-ლითონ კომიტეტის სადგომი. მომსახურებას გაუწევს პიროგოვის ქუჩას მთლიანად, ტატიანის, პასტერის, ობსერვატორიის და ტექნიკურ ქუჩებს, სასწავლო შესახვევს, კამოს ქუჩას 64-დან 103-მდე, პლეხანოვის პროსპექტს 128-დან 181-მდე, სადგურის ქუჩას.

პუნქტი № 12—ჟორესის ქ. № 25, მე-107 შრომის სკოლის შენობა. მომსახურებას გაუწევს ქსენიევის, კრილოვის ქუჩებს, პლეხანოვის შესახვევს, ნაპირის ქუჩას; კამოს ქუჩას, კირკის ქუჩიდან კრილოვის ქუჩამდე ორივე მხრით, პლეხანოვის პროსპექტს 85-დან 121-მდე და 86-დან 128-მდე, ჟორესის ქ. მარცხენა მხარეს იმ ადგილამდე, სადაც იგი გადასჭრის საბჭოთა ქუჩას.

პუნქტი № 13—ჟორესის ქ. № 24, წყალსადენის კლუბი. მომსახურებას გაუწევს საბჭოთა ქუჩას 38-დან 70-მდე, ორჯონიკიძის ქ. 1-დან 29-მდე და 2-დან 36-მდე, ნინოშვილის ქ. 1-დან 37-მდე და 2-დან 36-დე, კალინინის ქ. 54-დან 100-მდე და 43-დან 83-მდე, კლარა ცეტკინის ქ. 49-დან 89-მდე და 58-დან 102-მდე, კლდიაშვილის ქუჩას მთლიანად და რიონჰესის ქ. 2-დან 10-მდე და 1-დან ბოლომდე.

პუნქტი № 14. ნინოშვილის ქ. № 57, რკ. გზის ტექნიკუმის შენობა. მომსახურებას გაუწევს ვაგზლის ქუჩას 39-დან , და 36-დან 60-მდე, ანდრეევის ქუჩას 38-დან 88-მდე, კალინინის ქ. 86-დან 109-მდე და 102-დან 120-მდე, კლარა ცეტკინის ქ. 89-დან 173-მდე და 104-დან 200-მდე.

სტალინის რაიონის მუშურ-გლეხურ მილიციის მეორე განყოფილება

პუნქტი № 15—მაუდის ფაბრიკასთან. მომსახურებას გაუწევს თვით ფაბრიკის საერთო საცხოვრებლის და გერმანელთა ახალ შენის მოსახლეობას.

№ 16—იპოდრომთ (დიდუბე). მომსახურებას გაუწევს დიდუბის ქუჩას ვახუშტის ქუჩიდან ბოლომდე ყველა ახლო მდებარე შესახვევებით, ქუთაისის ქ. კლარა ცეტკინის ქ. ევდოშვილის ქუჩიდან პურის პროდუქტების საწყობებამდე, ზუგდიდის, ევდოშვილის, ბათომის ქუჩებს შესახვევებით; ფოთის ქუჩას და ორჯონიკიძის ქ. № 88-დან ბოლომდე.

პუნქტი № 17—პლეხანოვის პროსპექტი, ტრამვაელთა კლუბი, მომსახურებას გაუწევს ტრამვაის ქ. შესახვევებით, მუშტაიდის, ბორჯომის, ბაქოს, სურამის; ყვირილის; აბასთუმანის ქუჩებს და ვაგზლის ქ. იმ ადგილამდე, სადაც იგი უერთდება კლარა ცეტკინის ქუჩას.

პუნქტი № 18—კოოპერატივის ქ., მე-33 შრომის სკოლის შენობა, მომსახურებას გაუწევს საგურამოს, კოოპერაციის, გორის და ვახუშტის ქუჩებს, კლარა ცეტკინის ქ. № 143-დან 200-დე ევდოშვილის ქუჩამდე, გლდანის ქ.

სტალინის რაიონის მუშ.-გლეხური მილიციის მე-3 განყოფილება

პუნქტი № 19—მშენებელთა კლუბი. მომსახურებას გაუწევს ლენინგრადის, მეჩნიკოვის და ახალშენის ქუჩებს, პლეხანოვის პროსპექტს 40-დან 86-მდე და 49-დან 85-მდე, კამოს ქუჩას 16-დან 38-მდე და 31-დან 65-მდე, კირკის ქუჩას 1-დან 13-მდე.

პუნქტი № 20—პლეხანოვის პროსპ. № 38. მუშათა სახლის წითელი კუთხე. მომსახურებას გაუწევს პლეხანოვის პროსპექტს 31-დან 49-მდე და 34-დან 40-მდე, კამოს ქუჩას 23—37-მდე და 8—16-მდე, უფლისციხის, კოჩუბეევის, რეუტოვის და რისაკოვის ქუჩებს.

პუნქტი № 21. პლეხანოვის პროსპ. № 5. საზკვების კლუბი. მომსახურებას გაუწევს პლეხანოვის პროსპექტს 1-დან 31-მდე და 2-დან 24-მდე, კამოს ქუჩას 1-დან 21მდე და 2—8-მდე კოლხიდის (ყოფ. ხაეკლესიო) ქუჩას, ჩერნიშევსკის ქ. ყველა ახლო მდებარე შესახვევებით და ჩიხებით.

პუნქტი № 22—სვერდლოვის ქ. № 2. ყოფ. კომერციული სასწავლებელი. მომსახურებას გაუწევს სვერდლოვის ქ. № 2-14-მდე; ჩოლუთების ქ. 1-დან 7-მდე და 2—16 მდე, მეჭურჭლეთა ქ. № 1-დან 13-მდე და 2—16-მდე, ციმაკურიძის ქ. მთლიანად, კალინინის მოედანს, ნეკრასოვის, ტოლსტოის და პლატონოვის ქუჩებს.

პუნქტი № 23—წითელი მთის ქ. № 10. მე-27-დე შრომის სკოლის შენობა. მომსახურებას გაუწევს წითელი მთის ქუჩას. ყველა ახლო მდებარე შესახვევებით და ჩიხებით, გერშუნის ქ., ოსიპოვის შესახვევს, არსენალის ჩიხს, საბჭოთა ქ. 1-დან 21-მდე და 2-დან 12-მდე. კალინინის ქ. 1—11-მდე და 2—16-მდე.

პუნქტი № 24—ლისოგორსკის შესახვევი № 5, მომსახურებას გაუწევს არაგვისპირელის ქ., ლისოგორსკის შესახვევს ჩიხებით, ლოჩინსკის შესახვევს, პოროხოვის შესახვ., რევაზოვის ქ., იაზონოვის ქუჩას, ბოჭორიშვილის ქუჩიდან რევაზოვის ქუჩამდე ყველა ახლო მდებარე შესახვევებით და ჩიხებით.

პუნქტი № 25—საბჭოთა ქ. № 39. მე-81 შრომის სკოლა. მომსახურებას გაუწევს პირველ და მეორე ქუჩებს ბოჭორიშვილის ქ. მთლიანად, მცირიშვილის და აჯამეთის ქუჩებს, ავჭალის შესახვევს, ავჭალის მოედნის კენტ ნომრებს, ავჭალის შესახვევს მთლიანად და საბჭოთა ქუჩას 21—57-მდე და 12—36-მდე ყველა შესახვევებით.

პუნქტი № 26. ტურგენევის ქ. № 9, აბრეშუმის საქოვის საფაბრ.-საქარხნო სკოლა. მომსახურებას გაუწევს რეუტოვის ქ. 21-37-მდე და 10-დან 20-მდე, ტურგენევის შესახვევს, ყოფ. შოვის ქუჩას, კალინინის ქუჩას 16—54-მდე და 11—43-მდე. კლარა ცეტკინის ქ. 9-დან 49-მდე და 14—58-მდე.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

1200 ტონა ნახშირმჟავა ყოველწლიურად

ნახშირმჟავაზე უდიდესი მოთხოვნილებაა. იგი საჭიროა არა მარტო ქიმიური მრეწველობისათვის, არამედ ხელოვნური, გაზირებული წყალის დასამზადებლადაც. საჭირო ნახშირმჟავას დიდი ნაწილი დღემდე ტფილისში შემოჰქონდათ ბორჯომიდან და მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

წელს ტფილისში დაიწყეს ნახშირმჟავა ქარხნის მშენებლობა. ქარხანა შენდება კლარა ცეტკინის ქუჩაზე, იგი დამთავრდება ერთ თვეში და მოგვცემს ყოველწლიურად 1200 ტონა ნახშირმჟავა გაზს.

სურათზე: ნახშირმჟავას ქარხნის შენობა.

ქარხნის ყველა მოწყობილობები დამზადებულია საბჭოთა კავშირში. მოწყობილობა მიღებულია ადგილობრივ და მათი მონტაჟი დაიწყება აგვისტოს ბოლო რიცხვებიდან.

ქარხანას აგებს ტფილსოფმრეწვი. მისი აგება ჯდება 500.000 მანეთი. ქარხნის საზეიმო გახსნა შესდგება ოქტომბრის დღესასწაულებზე.

ოფიციალური

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო ამ კომისარიატის მოქმედების თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-10 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო ამ კომისარიატის მუშაობის შესახებ გამოცემულ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-10 მუხლს (გაზეთ „კომუნისტის" 165 №-ი) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა. მე-10 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ინვალიდთა კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევის და საურთიერთო დახმარების სალაროების წესდების თანახმად გაცემულ პენსიებზე და დახმარებებზე".

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თან. ამხ. **თ. ჟღენტი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **მ. ვარამაშვილი.**

1933 წ. ივლისის 27.
ტფილისი.

პარტკალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ნინა ბუხალეიშვილს ნინა მესხს, ლეონიდე შავიშვილს, მარო ლომინაძეს, მარო მახაიძეს, პელაგია მელიქაძეს, შუშიკ გრიგორიანცს, ქეთევან რიზა-ზადეს, თამარა მელიქაძეს, ნინა ლეთოდიანს, ფადრაკ ეფენდიევა-დადიევას; ამუნიკ ვართანოვას; თამარა მუჯირის, ლეონიდე პაპავას, ირინა ყურაშვილს; ნინა არეშიძეს და მარო ძაძიევს გამოცხადდნენ ორჯონიკიძის რაიკომში (ძერჟინსკის ქ. № 19) ამხ. ბალდასაროვთან 13 აგვისტოს დილის 10 საათზე.

—:—

საქ. კპ. (ბ) ც. კომიტეტის კულტპროპგანყოფილებაში (ოთახი № 8) 13 აგვისტოს დღის 2 საათზე უნდა გამოცხადდეს ამხ. ბონდო ზვანბაია.

„კომუნისტი"-ს რედაქცია ტფილისში პასპორტიზაციის ჩამტარებელ ბიუროსთან ერთად ა-წ. 12 აგვისტოს ატარებს

დამკვრელ მუშკორთა ბრიგადების რეიდს

პასპორტიზაციის საკითხზე.

დამკვრელი მუშკორები, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ რეიდში, უნდა გამოცხადდნენ 12 აგვისტოს დილის სრულ 9 საათზე, „კომუნისტი"-ს რედაქციაში (რუსთ. პრ. 16, მე 2 სართ.).

„კომუნისტი"-ს დამკ. მუშკორთა ბრიგადების სექტორი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა.

გამოვიდა და იყიდება

ვ. ლენინი

რუს. სოც. დემოკ. მუშათა პარტიის მეორე ყრილობა და გათიშვა.

ნ. 251 ფასი 2 მანეთი.

გამოვიდა და ურიგდება ხელისმომწერლებს ჟურნალი

„ბოლშევიკი" № 6

შინაარსი:

1. მოსავლის აღება და მარცვლეულის ჩაბარების დავალებათა ვადაზე შესრულება უდიდესი საბრძოლო ამოცანაა;
2. **გ. სტურუა**—რატომ ვატარებთ პარტიის წმენდას;
3. **ს. გოდაბრელიძე**—მარგანეცი, ქვანახშირი;
4. **კ. ორაგველიძე**—პარტიული სწავლების მაღალი ხარისხისათვის;
5. **ე. ბედია**—1932-33 სასწავლო წლის შედეგები და მომავალი წლის ამოცანები;

ი. ვაშაყმაძე—დიალექტიკა როგორც შემეცნების თეორია.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

7. **ი. ბოჭორიშვილი**—გ. გოგიბერიძე: „დარვინის მოძღვრება და მარქსიზმი".

მარჯანიშვილის სახ. თეატრი
სახელმწ. დრამა
სეზონი 1933-34 წ.

8 აგვისტოდან დაიწყო კოლექტიური განცხადებებით აბონემენტების დაკვეთა. გამოშვებულია 12 აბონემენტი 8 წარმოდგენით.

აბონემენტები მიიღება წარმოება-დაწესებულებებზე ჩვეულებრივი წესით 40 პროც. დაკლებით.

აბონიმენტების ღირებულება გადახდილი უნდა იქნეს ექვს ნაწილად.

სალარო ღიაა 11—2-მდე და 6—8 საათამდე.

5—4 ნ. 238 დირექცია.

სახკინმრეწვის კინო-თეატრები:

ეთერი 9, 10-30	მხატვრ. ფილმი **გმირის შეცდომა** პრ. გარ.—ფიზკულტურელთა აღლუმი.
დამკვრელი 9, 10-30	მხ. ფილ. **პროცესი 3 მილ. შესახებ** პრ. გარ.—სკკ. № 18.
ტემპი 9. 11.	სათავგადასავლო ფილმი **ალიმ**
კომინტერნი (დიდუბე) 9, 10-30	საზღვარგ. ფილმი **კვალდაკვალ** ძაღლის რინ-ტინ-ტინის მონაწილეობით
ოქტომბერი 7, 8-45, 10-30.	სახკიი. სურ. **ვინ არის დამნაშავე** პრ. გარ. თეთრზღვამშენი პატაკს იძლევა
დამკვრელი 7-30, 9, 10-30.	მხატვრ. ფილმი **ვინ ხარ შენ** პროგ. გარეშე—სანიტმინიმუმი.
რ. ლიუქსემბურგის 7, 8-45, 10-30	**არსენ ჯორჯიაშვილი** პრ. გარ.—ჟურნალი მეცნ. და ტექნ. № 6
სპარტაკი 7-30, 9, 10-30	ამერიკ. კომედია **ბებრუხანა № 99** პრ. გარ ჟურ. „კლ. ცეტკინას ხსოვნას"
საბავშო კინო დღის 12 და 2 საათზე	საბავშო სათავგადასავლო ფილმი **მხეცის ბილიკით სევანის ტბა**
მეცნიერება და ტექნიკა 8, 9-30	**ბუნებრივი შერჩევა და ბრძოლა არსებობისათვის**

ხარაზთა კოოპერაციის სრულიად საქართველოს ურთი-ერთ დამზღვევ სალაროთა კავშირი

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე დანიშნულია კავშირის წევრთა შინამრეწველ მარტოხელა

ხელოსნების რეგისტრაცია და საწევრო წიგნაკების გამოცვლა.

ყველა შინამრეწველები ვალდებული არიან აღნიშნული დროის განმავლობაში გაიარონ რეგისტრაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გამორიცხული იქნებიან კავშირიდან მექანიკურად.

693 სალაროთა კავშ. გამგეობის პრეზიდიუმი.

თანახმად მსუბუქ მრეწვ. სახკომის კოლეგიის დადგენილებისა, ა-წლის 10 აგვისტოს № 4619, ხდება სარეწკოოპ. არტელ

„ჩვენი შრომა"-ს ლიკვიდაცია

ა/წლის 13 აგვისტოდან.

ყველა იმ პირთ და დაწესებულებებს, ვისაც აქვთ რაიმე პრეტენზიები ხსენებულ არტელთან ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ლიკვიდკომში ა/წლის 25 აგვისტომდე (მისამართი: სადგურის ქუჩა № 24), რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები და განცხადებები არ მიიღება.

699 ლიკვიდკომი.

თანახმად მძიმე მრეწველობის სახ. კომ. რწმუნებულის 27 ივლისის 1933 წლ. № 182 ბრძანებისა,

საალმშენებლო მასალათა და არა ლითონურ წიაღისეული მადნეულობათა

ტრესტი

და მისი სამეურნეო ანგარიშზე მყოფი მომარაგება-გასაღების სექტორი ა-წ. 1 აგვისტოდან

ლიკვიდაციაქმნილია

მის სისტემაში შემავალი ქარხნები: 1) კახეთის ფიქალების წარმოება; ლიტოგრაფიული ქვის სახელოსნო; ნატანების ბიტუმის ქარხანა და მარმარილოს საწარმოებელი გადაეცა მძიმე მრეწველობის კომისარიატთან ახლად არსებულ სამთო საწარმოთა სამმართველოს, ხოლო ტყვრის, ნოსირის, ღრმა-ღელის აგურის ქარხნები, გლაუბერის მარილის წარმოება, ალებასტრ-თაბაშირის ქარხანა, მოწამეთის კირის ქარხანა, ცარცის წარმოება და საალმშენებლო ქვების სამმართველო გადასული არიან საწესდებო საფუძველზე, რომელთა ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს მძიმე მრეწველობის კომისარიატის საალმშენებლო მასალათა სექტორს.

ამის გამო სალიკვიდაციო კომისია სთხოვს სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადო ორგანიზაციებს და კერძო პირებს, თუ რაიმე პრეტენზია აქვთ როგორც ტრესტის, ისე სექტორის მიმართ წარმოადგინონ ასეთები აგვისტოს 15 რიცხვამდე, რის შემდეგ არავითარი პრეტენზია არ მიიღება.

პრეტენზიები წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი მისამართით: ტფილისი, ა/კ ფედერაციის ქ. № 2.

691 ლიკვიდკომი.

ა/კ. რკ. გზ. საფაბრიკო-საქარხნო

სკოლების საყურადღებოდ

ა/კ. რკ. გზის სამმართველოს კადრების განყოფილება და ა. ლ. კ. კ. ა/კ. სამხარეო კომიტეტის განათლების და კადრების განყოფილება ა/წ. 15 აგვისტოს ქ. ტფილისში იწვევენ საფ. საქ. სკოლების და ა. ლ. კ. კ. **უჯრედის მდივნების თათბირს,** რომელზედაც დამუშავებული იქნება **საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ას და ა. ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საფაბრიკო-საქარხნო სკოლების მუშაობის გარდაქმნის შესახებ.**

სკოლების უფროსების და უჯრედის მდივნების დასწრება სავალდებულოა.

ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს **კადრების განყოფილება.**
ალკკ ა.-კ. სამხარეო კომიტეტის განათლების
677 და **კადრების განყოფილება.**

პიანინოს მეავანსეთა საყურადღებოდ

ცეკავშირთან არსებული საკულტსაქონლის დარგობრივი გაერთიანების სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს, რომ 15 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე, ცეკავშირის შენობის ქვედა სართულში (შტაბის ქუჩა № 4—6) დილის 9 საათიდან დღის 2 საათამდე იწარმოებს

პიანინოს მეავანსეთა რეგისტრაცია.

ყველა მეავანსეები, რომლებსაც პირველი ავანსი შემოტანილი აქვთ 1931 წლის 1-ლ იანვრის შემდეგ ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ და წარმოადგინონ ძველი ქვითარები ახალი სარეგისტრაციო ცნობის მისაღებათ. ყველა ის პირები, რომლებიც ამ ვადაში არ გაივლიან რეგისტრაციას კარგავენ უფლებას ინსტრუმენტის მიღებაზე.

687 საკულტსაქონლის სალიკვ. კომისია.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა.

ლენინის 6 ტომეულზე, სრულ კრებულზე და კ. მარქსის კაპიტალზე

ხელისმომწერთა საყურადღებოთ ცხადდება, რომ ა-წ. 1/VIII-დან აღნიშნული გამოცემანი

გამოეყო სახელგამს და გადაეცა პარტგამომცემლობას.

ხელისმოწერა ფული და ყოველგვარი კორესპონდენცია უნდა გადმოიგზავნოს შემდეგი მისამართით: **ტფილისი, რუსთაველის პრ. № 34, პარტგამომცემლობის ხელისმოწერის ბიურო.**

გრძელდება ახალი ხელისმომწერთა მიღება.

ნ. 249 2—1

ს. ს. რ. საქართველოს სახელგამის
პერიოდსექტორი
გადავიდა ახალ ბინაზე

ალმასკომის ქუჩა № 7.

ყოველგვარი მიწერ-მოწერა და შეკვეთები იწარმოებს ზემოხსენებულ მისამართით.

მიიღება ხელისმოწერა შემდეგ გამოცემებზე: ჟურნალები: „მნათობი", „პიონერი" (საბავშო), „ოქტომბრელი" (საბავშო), „კარმირ-წილერ" (სომხური საბავშო), „ენი-კუვე" (თურქული საბავშო). ხელის მოწერა წარმოებს აგრეთვე **მიხეილ ჯავახიშვილის** და **ნიკო ლორთქიფანიძის** თხზულებებზე, **ზ. ასათიანის** არითმოტაბლიცებზე, საქართველოს გეოგრაფიულ რუქაზე და სხვა.

2—2 ნ. 243 სახელგამის პერიოდსექტორი.

საქ. მცენარეთა დაცვის ტექნიკუმი

აცხადებს,

რომ I კურსზე მისაღები გამოცდები დაიწყება 10 სექტემბერს.

5 სექტემბრამდე სწარმოებს განცხადებების მიღება, ყოველდღე 10—3 საათამდე, პლეხანოვის პრ. № 140, ეზოში, მე-3 სართული. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

690 დირექცია.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის **გამომცემლობა**

მიიღება დაკვეთები

ამხ. სტალინის **ლენინიზმის საკითხებზე**

წიგნი ღირს 5 მანეთი. დაკვეთისას თითო წიგნზე შემოტანილი უნდა იქნას 3 მანეთი, დანარჩენი გადახდება წიგნის მიღების დროს.

რაიონიდან დაკვეთები და ფული უნდა გადმოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი, რუსთაველის პროსპ. № 34, ხელისმოწერის ბიუროს.

დამკვეთელებს წიგნი გადაეგზავნება 10 სექტემბრიდან და ამავე რიცხვიდან შეწყდება ახალი დაკვეთის მიღებაც.

საფოსტო ხარჯებს იხდის დამკვეთი. ტფილისის დამკვეთელებმა წიგნი თვითონ უნდა მოიკითხონ ხელისმოწერის ბიუროში

დაკვეთა მიიღება

ტფილისი—რუსთაველის პროსპ. № 34, ხელისმოწერის ბიუროში და ბიუროს მიერ სათანადო მოწმობით აღჭურვილ რწმუნებულებთან.

3—2 ნ. 236

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ოპერატიულ განმანადგურებელ სადგურს დროებით

ესაჭიროება

ინკასატორები

პირობების გაგება შეიძლება კანტორაში დილის 8 ს. 10 საათამდე, მუხრანის ქ. № 4.

690 დირექცია.

საქვაჭრობა

აცხადებს ავანსატორების საყურადღებოდ, რომ 10 აგვისტოდან დაიწყება

სამრეწველო საქონლის გაცემა შემოტანილ ავანსებზე.

სამრეწველო საქონლის მიღების უკანასკნელი ვადა 20 აგვისტოა, შემდეგ არავითარი პრეტენზია აღარ მიიღება.

ავანსატორები შეტანილი ავანსის ქვითრებით უნდა გამოცხადდნენ საქვაჭრობის ტფილისის სექტორში, ძერჟინსკის ქ. № 19, ამხ. ლანდიანთან.

ნ. 248 3—1 საქვაჭრობა.

რ/გ. ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის მუშფაკი აცხადებს,

რომ გაზ. „კომუნისტში" 17 ივლისის ნომერში გამოცხადებული მასალები **გამოცდების ვადები შეცვლილია და გადმოტანილია,** თანახმად სახკომსაბჭოს დადგენილებისა 25 აგვისტოსათვის.

692 მუშფაკის დირექტორი.

ბორჯომის რაი-განათლების განყოფილება ამით აცხადებს

რაიონში შემავალ ყველა ტიპის და საფეხურის სკოლების გამგეთა საყურადღებოთ, რომ ისინი ვალდებულია სასწავლო წლის მზადებასთან დაკავშირებით გამოცხადდნენ თავიანთ სამოქმედო ადგილებზე

12 აგვისტოდან.

რაი-განათლების განყოფილების
695 გამგე: ი. სურგულაძე.

მასწავლებლები ამზადებენ

უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელებს

და მათთვის სხვა და სხვა საგნებში დამზადებულია **კონსპექტები.** მსურველებმა მიმართონ მარტის ქ. № 6 (ვერის ბაზრის უკან). 3-2 328

უმაღ. გან. მათემატ.

მასწავლებელი

ამზად. მოწაფეებს უნივერს. ინსტ. მუშფ. ტექნიკ. მისაღებ. გამოცდებ. 7 წლ. და 10 წლ. ყველა ჯგუფებისათვის და მოწმობაზე. აგრეთვე

მოანგარიშის
თანამდებობაზე

პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევსკის ქ.) ნახვა 8—2 ს. 4—7 ს.

5—1 380

დაიკარგა გურჯაანის რაიონის სოფელ ჩალაუბნის კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობის, რგვალი ბეჭედი, ჩაითვალოს გაუქმ. 688

მშობლები: ვალოდია და ნინა დევაძეები დავსტირით საყვარელ შვილს პატარა

ლამარას

680

გულმოკლული მშობლები: რუსუდანი და ლეონიდე, ბებია იულიანი, ბიცოლა ვერა, ბიძა ალექსანდრე იუწყებიან, რომ მათთვის უძვირფასესი პატარა

ჟუჟუნა ჭკადუას

სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 12 აგვისტოს 6 საათ. ს. ვერის სასაფლაოზე.

2—2 671

გაუბედურებული მეუღლე ელენე, დები: ოლღა, მარიამი, დისშვილები: ლეო, თამარი, ვიკი, მედეა ნიორაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი

მიხეილ იოსების-ძე ტაბატაძე

დაკრძალვა ზესტაფონში 13 აგვისტოს. 247

ზესტაფონის რაიალმასკომის თანამშრომლები და უახლოესი მეგობრები: ტ. იმნაძე, ნ. წერეთელი, გ. გეწაძე, ა. თურმანიძე, დ. მაჩიტიძე, კ. კავილაძე, ა. გარუჩილაძე, ს. ლეჟავა მწუხარებას გამოსთქვამთ განათლების ფრონტზე დაუღალავ მუშაკის, გამოცდილ პედაგოგ

მიხეილ იოსების-ძე ტაბატაძის

გარდაცვალების გამო. 685

ქალიშვილი ვერა, მაზლი სანდრო, იაკობი ყიფიანები ოჯახით, სიძე სერგო გიორგით ლამბაშიძეები, დავითი, ანეტა, თეკლე ყიფიანები აცნობებენ საზოგადოებას

ეკატერინე ამირაჯიბი-ყიფიანის

გარდაცვალებას, დასაფლავება მოლითში 13 აგვისტოს. 689

ზესტაფონის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტი და განათლების განყოფილება მწუხარებით იუწყება დამსახურებული მასწავლებლის, განათლების განყოფილების ინსტრუქტორის

მიხეილ იოსების-ძე ტაბატაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზესტაფონში 13 აგვისტოს, სალ. 5 ს. 686

დამწუხრებული მშობლები: კონსტანტინე და ეფროსინე, დები: ელისაბედი, ელენა, რძალი თამარ, ძმისშვილი ლილი, ძმები: მირიანი და პარმენი იუწყებიან

ქსენია კონსტანტინეს-ას. ურუშაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 აგვისტოს ლანჩხუთში. 696

დამწუხრებული ბიძები: იოსები, ალექსანდრე, დიმიტრი, კარდანახიშვილები ცოლშვილით, მამიდა საშა ბატუაშვილი იუწყებიან ძვირფასი

სოლომონ გიორგის-ძე კარდანახიშვილის

ტრაგიკულად დაღუპვას. ნ. 953

სამუდამოდ გაუბედურებული დედა სალომე, მამა გიორგი, ძმა ილო, რძალი ივლიტა, და მარიამი, სიძე შაქრო ჩიჩიაშვილი იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

სოლომონ გიორგის-ძე კარდანახიშვილი

დაკრძალვა 12 აგვისტოს, საღამოს 4 ს. ველისციხეში. ნ. 953

დამწუხრებული მეუღლე თებრონე შვილებით: იოსები, გიკლა, სერგო, ვალიკო, ბაბილინა ქმრით, რძლები: კალინკა, თამარა შვილებით იუწყებიან მათთვის საყვარელ

სილიბისტრო ონოფრეს-ძე გოგმეჩაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 აგვისტოს ს. ლანიროში. ნ. 252

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ., № 66.

მთავლიტის რწმუნებული ა 1429